ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 12 ნოემბრიდან!

## „ახალი თაობა“ + „საზღაური“

## 4 ლარი

ქართული დეტექტივი

მე-3 ტომი




16 — 17 ნოემბერი, 2013

№272 (6273)

ფასი: 30 თეთრი



# დიდი გაწევ-გამოწევა პარლამენტში



გვ.3

შს მინისტრის მოადგილემ დეპუტატს ნაბიჭვარი უწოდა



## დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა

გვ.4



## ბელა ნიკოლაიშვილი: „ხელისუფლებამ ხალხს იმედი გაუცრუა“

გვ.6




## „ნორლანდმა თავის სიტყვები უკან უნდა წაიღოს!“

გვ.3



## ნაციონალები გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას არ დაესწრებიან

გვ.2



## აჭარაში პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით 14 პირი დააკავეს

გვ.2





## ლევან კალანდაძე: „ცხოვრება ძვირდება!“

გვ.5

ISSN 1987-9385

## სერჟანტთა მომზადების სკოლას გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭა

გვ.2



## „არჩეულ მერს საკრებულომ უნდობლობა არ უნდა გამოუცხადოს“

გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სერჟანტთა მომზადების სკოლას გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭა



ამიერიდან სერჟანტთა მომზადების სკოლა საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრი გახდა. სასწავლო ცენტრისთვის ეროვნული გმირის სახელის მინიჭება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიასა და ცენტრის მეთაურის მაიორ ლაშა დავითაძის ინიციატივით მოხდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ღონისძიება დღეს თავდაცვის სამინისტროს შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრში გაიმართა. ღონისძიებაზე გიორგი ანწუხელიძის ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ. მათ თავდაცვის მინისტრმა გმირის აღზრდისთვის მადლობა გადაუხადა და საჩუქრად ბიბლია გადასცა. სერჟანტთა მომზადების ცენტრის სახელით, კაპელანმა მამა ამირანმა ქართველი გმირის დედას წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა. ანწუხელიძის ცხოვრების და ჯარში მსახურის ეპიზოდები გუშინ სერჟანტებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს. მათ გიორგის გმირობაზეც ისაუბრეს. „დღეს სერჟანტთა სკოლას ჩვენი ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭა. საქართველოს წარსულში ბევრი გმირი ჰყავდა, მაგრამ ეს ერთ-ერთი განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც გმირობა დოკუმენტალურად ვიდეოფირზეა აღბეჭდილი. ეს არის ის სტანდარტი, ის მაგალითი, რომელსაც გიორგი შეიარაღებული ძალების ყველა წარმომადგენელს და ყველა მოქალაქეს უყენებს. სწორედ, ამ სტანდარტით გააგრძელებენ სწავლას სერჟანტები სერჟანტთა მომზადების სკოლაში და გიორგის მსგავსად ერთგულად ემსახურებიან ქვეყანას" — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. ღონისძიებას სერჟანტთა მომზადების ცენტრის უფროს სერჟანტთა კურსის მსმენელები დაესწრნენ. დღეს მათ 15 კვირიანი სერჟანტთა საკარიერო კურსის გავლა დაასრულეს. სერჟანტებს კურსის წარმატებით დასრულების სერთიფიკატები საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ, ასევე მისმა მოადგილეებმა ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ და პოლკოვნიკმა არსენ ცუხიშვილმა გადასცეს. სერჟანტთა მომზადების ცენტრის კურსდამთავრებულები კაპელანმა მამა ამირანმა დალოცა. სასწავლო პროგრამაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფის, ბატალიონისა და ასეულის დონის 18 სერჟანტი მონაწილეობდა. მათ თეორიული და პრაქტიკული სწავლება საბრძოლო და სამეთაურო მომზადების ორგანიზებაში, ასევე ქვედანაყოფის მართვის პროცედურების, სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და სრული სპექტრის ოპერაციების დაგეგმარებაში გაიარეს, დაეუფლნენ ლიდერიზმის უნარ-ჩვევებსაც. სერჟანტებმა ფიზიკური მომზადება ახლად დანერგილი სტანდარტებით პირველად გაიარეს. საკარიერო კურსის განმავლობაში სამხედრო მსმენელები ყოველკვირეულად ტესტებსა და ოპერატიული ბრძანების გაცემაში პრაქტიკულ გამოცდებს აბარებდნენ. დღეიდან უფროსს სერჟანტთა საკარიერო კურსზე მივლენილი სამხედრო მოსამსახურეები საკუთარ ქვედანაყოფებს დაუბრუნდებიან და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებენ მსახურს.

**პირველი რადიო**

## დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

საქართველოს შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოსა და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს მიმდებარედ, რკინიგზის მშენებლობისთვის გაყვანილ გვირაბში დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა აღმოაჩინეს.

სულ ამოღებულია — 5 ყუმბარმტყორცნი, ე.წ. „მუხა", კალაშნიკოვის სისტემის 4 ავტომატი, ავტომატის 14 მჭიდი, ავტომატის 1047 ვაზნა, ტყვიამფრქვევის 127 ვაზნა ლენტით, 1 კონტეინერი 5,45 მმ-იანი კალიბრის ვაზნები, ტყვიამფრქვევ „დე-შე-კა"-ს 1 ვაზნა, „ეფ-1"-ის ტიპის 8 ხელყუმბარა და „ერ-გე-დე-5"-ის ტიპის 2 ხელყუმბარა, 2 დეტონატორი, 1 მეტალის ზონარი ბოლოში სახრახნით, კამუფლირებული 1 ჩანთა, მჭიდების ჩასადები 1 ჟილეტი, მჭიდების მოსათავსებელი 1 ჩანთა, 1 ცალი მომწვანო ფერის ცილინდრისებური მეტალის საგანი. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს — სსსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**ნიუსპრესი**

# კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოც ითხოვს

**შორენა გონგლაძე**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო აფხაზეთის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე მუშაობას იწყებს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო აფხაზეთის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებებით დაინტერესებულ პირებს კონსტრუქციული და საქმიანი თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტის საერთო სახალხო განხილვის გარშემო ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის და ცალკეული პიროვნების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი, მათ მიერ საზოგადოებისთვის მიმდინარე პროცესების შესახებ არაკომპეტენტური და არასწორი ინფორმაციის მიწოდება მიზნად ისახავს საზოგადოების დაპირისპირებას აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებთან, რაც მათი მხრიდან აფხაზეთის ხელისუფლების თითქოსდა საქართველოს საკონსტიტუციო სივრციდან გამოსვლის, დევნილი მოსახლეობის ინტერესების დაცვის მოტივით არის შენიღბული, სინამდვილეში თავიანთი ქმედებებით სრულიად საპირისპირო, დევნილთათვის და ზოგადად აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისათვის მავნე და საშიში ტენდენციების განვითარებას უწყობენ ხელს. გამომდინარე აქედან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თავს ვალდებულად თვლის, მოსახლეობისათვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების მიზნით განაცხადოს, რომ ამ ბოლო პერიოდში, როგორც არასდროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ცდილობს, მოხდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა სრული გამჭვირვალობისა და საჯაროობის პირობებში. პროექტი განთავსებულია უმაღლესი საბჭოს საიტზე და ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის. მიმდინარეობს პროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტში, სხვა კანონშემოქმედებით ორგანოებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ და პროფესიონალთა წრეებში. კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების უმთავრესი მიზანია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და მისი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა. სწორედ 2013 წლის ოქტომბერში არჩეული ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა აფხაზეთის კონსტიტუციიდან ისეთი მუხლების ამოღება, რომლებიც ითვალისწინებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნა-გათავისუფლებაზე საქართველოს პრეზიდენტის თანხმობას, რასაც ამ ცვლილების ოპონენტები აფასებენ, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სივრციდან გასვლის მცდელობას, რაც სრული აბსურდია და, უბრალოდ, სხვადასხვა ცნების ერთმანეთში აღრევაა (2004 წლის 30 ნოემბრამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ნიშნავდა და ათავისუფლებდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს). კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები მიმართულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების უფლებამოსილების გაზრდის და პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლებისაკენ. ამ ცვლილებებით რეგულირდება ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც დღეს მოქმედ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში საერთოდ არ არის გათვალისწინებული და რამაც სამართლებრივი კოლაფსის ფაქტის წინაშე დააყენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მიმდინარე წელს ახალი მთავრობის ფორმირების დროს. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტმა პოლიტიკურმა პარტიამ, საზოგადოებრივმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ, პროფესიონალმა, დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ მონაწილეობა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვაში, რათა საკონსტიტუციო კომისიას მიეცეს შესაძლებლობა გაითვალისწინოს მათი წინადადებები, მოსაზრებები და მათთან კონსულტაციების შედეგად მიიღოს აფხაზეთის კონსტიტუციაში შესატანი სამართლებრივად გამართული ცვლილებები. ჩვენდა სამწუხაროდ, განსახილველად გამოტანილი საკონსტიტუციო ცვლილებების ოპონენტები, თავიანთი სრულიად უსაფუძვლო მოთხოვნების განსახორციელებლად, სამართლებრივი არგუმენტების არ არსებობის პირობებში ცდილობენ პროტესტის უკიდურესი ფორმებით და პირადული შეურაცხყოფებით, ზეწოლა მოახდინონ საკანონმდებლო ორგანოზე, რაც ყოვლად დაუშვებელია და მიუღებელია ავტონომიური რესპუბლიკის უმთავრეს კანონზე მუშაობის პროცესში. ჩვენ კიდევ ერთხელ მოუწოდებთ ყველას — აფხაზეთის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებებით დაინტერესებულ პირებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს კონსტრუქციული, საქმიანი და ცივილიზებული თანამშრომლობისაკენ, რათა ერთობლივი ძალისხმევით აღმოვფხვრათ ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო სივრცეში არსებული სამართლებრივი ვაკუუმი. ჩვენ ვაგრძელებთ კონსულტაციებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებთან, პროფესიონალ კონსტიტუციონალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მხოლოდ საერთო სახალხო განხილვის შედეგების მათთან შეჯერების შემდეგ მოხდება ცვლილების შეტანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

## რუსეთიდან დიდი ოდენობით სუნამო და მედიკამენტი სპეციალური სამალავით შემოჰქონდათ

„ყაზბეგის" საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, რუსეთიდან „მერცედესის" მარკის მიკროავტობუსი შემოვიდა, რომელსაც რუსეთის მოქალაქე გაბილ მ. მართავდა. მოქალაქეს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მალულად, მანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავების მეშვეობით, საქართველოში 366 ცალი სუნამო და დიდი რაოდენობით მედიკამენტი შემოჰქონდა. ტვირთის საერთო ღირებულებამ 32382,38 ლარი შეადგინა, — აცნობეს „მედიანიუსს" შემოსავლების სამსახურიდან.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

**მედიანიუსი**

## აჭარაში პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით 14 პირი დააკავეს

შსს-ს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმსა და გონიოში ერთდროულად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 14 სასტუმროს მეპატრონეები და ადმინისტრატორები პროსტიტუციისასთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნული პირები გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისათვის ოთახებს სისტემატურად უთმობდნენ. სასტუმროებსა და კლუბებში მომუშავე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაიკითხნენ.

პროსტიტუციისათვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით სულ 14 პირია დაკავებული. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტებზე მიმდინარეობს — სსსკ-ის 254-ე მუხლით.

**მედიანიუსი**

## ბოკერიამ უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან წასვლაზე განცხადება დაწერა



გიგა ბოკერიამ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა დატოვა. ამის თაობაზე მან პრეზიდენტს განცხადებით უკვე მიმართა. სამსახურის დატოვებაზე მის მოადგილეებს ჯერ განცხადებები არ დაუწერიათ.

გიგა ბოკერია ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი 2010 წლის ნოემბრიდან იყო. მას ამ თანამდებობაზე დეპუტატი ირინა იმერლიშვილი შეცვლის. იმერლიშვილი მუშაობას ახალ პოსტზე ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შეუდგება.

**ნიუსპრესი**

## შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილის ბიუსტი გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შსს-ს შენობაში ნოე რამიშვილის ბიუსტი გახსნა. ნოე რამიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში შინაგან საქმეთა პირველი მინისტრი იყო. ის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შს მინისტრის თანამდებობაზე 1918 წელს დაინიშნა. თანამედროვეები მას „რკინის მინისტრს" უწოდებდნენ. ბიუსტის ავტორია მოქანდაკე გიორგი ჯაფარიძე. გახსნის ცერემონიას ნოე რამიშვილის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

ბიუსტის გახსნასთან ერთად გაიმართა შსს-ს არქივის მიერ მომზადებული წიგნის „მე-20 საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები" პრეზენტაცია. წიგნის ავტორებმა — შსს-ს არქივის დირექტორმა ომარ თუშურაშვილმა და შსს-ს არქივის თანამშრომელმა ივანე ჯახუამ წიგნი საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოამზადეს. მსგავსი ტიპის ნაშრომი პირველად გამოიცა. წიგნში გამოყენებულია შსს-ს, ყოფილი უშიშროებისა და პარტიული ორგანოების საარქივო ფონდებში დაცული, უკვე განსაიდუმლოებული დოკუმენტური მასალა. მასში მოკლედ არის ასახული თუ როგორ ყალიბდებოდა და ვითარდება ქვეყნის სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოები. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების ბიოგრაფიებს, რომლებიც ამ სტრუქტურებს 1918-2000 წლებში ხელმძღვანელობდნენ. მკითხველი ასევე გაეცნობა ამიერკავკასიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაქურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გალაჯაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დიდი განევ-გამოწევა პარლამენტში

## შს მინისტრის მოადგილემ დეპუტატს ნაბიჭვარი უწოდა

შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტში პოლიტიკური ტემპერატურა ნელ-ნელა მაღლა იწევს. ეფიოსტანდარტების პოლიტიკოსებს ნერვები აშკარად აღარ ჰყოფნით. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე პარლამენტში ერთი კარგი მამაპაპური მუშტი-კრივი გაიმართება. დეპუტატების შემადგენლობას თუ გადავხედავთ, პარლამენტი კი ჰგავს ოლიმპიურ კლუბს და ჩხუბი, წესით, საინტერესო უნდა გამოვიდეს.**



ოლიმპიელები ჯერჯერობით არ აქტიურობენ. ამ ეტაპზე ნაცმოძის ლიდერებს ღალატობთ ნერვები. მათი ნერვიულობა შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიასაც გადაედო და მან კანონმდებელ აკაკი ბობოხიძეს ნაბიჭვარი უწოდა.

ვინც ლევან იზორიას იცნობს, დამეთანხმება, რომ ამ ადამიანის წყობილებიდან გამოყვანა ძალიან ძნელია. ნაციონალებმა ეს შეძლეს და ახლა აღშფოთებულნი აკეთებენ კომენტარებს.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განიხილებოდა კანონპროექტი, რომელიც

პოლიციის აკადემიისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს.

აღნიშნული კანონპროექტი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ წარუდგინა დეპუტატებს. კანონპროექტის წარდგინებას საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან შეკითხვები და უადგილო რეპლიკები მოჰყვა.

რეპლიკების სროლით თავი განსაკუთრებით მიხეილ მაჭავარიანმა გამოიდო, რომელიც რამდენიმე დღის წინ ნაცმოძის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. მისმა ზეაქტიურობამ ლევან იზორია გააღიზიანა და დეპუტატს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

— ხელს ნუ მიშლი, რა, ხელს ნუ მიშლი. რა ხელს მიშლით, ვერ გავიგე! — მიმართა ლევან იზორიამ უმცირესობის წევრ მიხეილ მაჭავარიანს.

ამ შენიშვნამ ნაცმოძის გენმდივნის მოვალეობის შემსრულებელი გააღიზიანა.

— ნოტაციებს ნუ მიკითხავ! — მიმართა მაჭავარიანმა იზორიას.

მინისტრის მოადგილეს მაჭავარიანის შენიშვნა არ მოეწონა და არც მისი რჩევა გაითვალისწინა.

— თუ საჭირო გახდა, წაგიკითხავ, გასაგებია?! — ჩაეძია მინისტრის მოადგილე გენმდივნის მოვალეობის შემსრულებელს.

იზორიას ამ განცხადებამ აკაკი ბობოხიძე აღაშფოთა. ის თავის სეხნია კაკო ყაჩაღივით წამოხტა ზეზე და მინისტრის მოადგილეს მიაძახა:

— ნოტაციები ბებიაშენს წაუკითხე!

ამის შემდეგ უკვე მინისტრის მოადგილე გამოვიდა წყობილებიდან.

— ბიჭო, ბაბუაშენს წაუკითხე, გასაგებია? ბობოხიძე, შენ მაგ სიტყვებს არ გაპატიებ. უყურე ამას, ამ სიტყვებს არ ვაპატიებ, ნაბიჭვარი ეს! მე დაგელაპარაკები წესიერად! — ბრაზიანად განაცხადა იზორიამ.

ამას დიდი გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ვინ იქაჩებოდა და ვინ აკავებდა, ამის გარკვევა უკვე შეუძლებელი იყო. საქმეში მანდატურები ჩაერივნენ და გაქაჩული დეპუტატები დააწყნარეს.

ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ სხდომაზე შესვენება გამოაცხადა. აღშფოთებულმა და შეურაცხყოფილმა ნაციონალებმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.

ისინი სხდომაზე არც შესვენების დასრულების შემდეგ დაბრუნებულან. სხდომის განახლების შემდეგ საგანგებო განცხადება გააკეთა მინისტრის მოადგილემ. მისი თქმით, შეურაცხმყოფელ კომენტარებს ვერ მოითმენს და კაცობა მისთვის ყველა თანამდებობაზე მაღლა დგას.

— მე უმრავლესობის წინაშე ვიხდი პირველ რიგში ბოდიშს, თუ რაღაცა ისეთი დისკომფორტი შეიქმნა მუშაობაში, მაგრამ, მერწმუნეთ, როდესაც პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადადის ოპონენტი, იქ, უბრალოდ, მე, როგორც კაცი, ვალდებული ვარ, რეაქცია მქონდეს. ყველანაირი თანამდებობა და სხვა არ მიღირს იმად, რომ კაცობასა და რაღაც ღირსებაზე უარი ვთქვა და კიდევ ერთხელ დიდ ბოდიშს ვიხდი ამისთვის, — განაცხადა იზორიამ.

მომხდარ ინციდენტს მეოცნებე დეპუტატებიც გამოეხმაურნენ და ამ ალიაქოთისთვის ნაციონალები ჩაგმეს.

— როცა მომხსენებელი გამოდის, ყველას უნდა ჰქონდეს იმის შეგნება თუ ზრდილობა, რომ ასეთი წამოძახილებით არ ხდებოდეს ხელის შეშლა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ინციდენტი მოხდა. ის, რომ დაიხურეს ქუდი და წავიდნენ, კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ამათ საქმე არ აინტერესებთ. შექმნეს ინციდენტი და გავიდნენ, რომ კამერებთან იკეკლუცონ, აი, უმრავლესობა როგორ ჩაგრავს უმცირესობასო, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ.

ნაცმოძის ქმედება ეკა ბესელიამაც დაგმო. მან მანდატურებსაც დაუგმო რეაქცია.

— ის შეურაცხმყოფელი კომენტარები, რომლებიც მომხსენებლის, მინისტრის მოადგილის მიმართ ისმოდა, შეუფერებლად მიმაჩნია. მანდატურმა დეპუტატი დარბაზიდან უნდა მიაბრძანოს, თუ თავს ვერ იკავებს, — აღნიშნა დეპუტატმა ეკა ბესელიამ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე აცხადებს, რომ ნებისმიერი მინისტრი თუ არამინისტრი შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფას მიიღებს.

— მინისტრის მოადგილემ ჩათვალა, რომ მას აქვს უფლება, პარლამენტის წევრებს, რადგან ისინი ნაციონალები მოძრაობის წევრები არიან, ელაპარაკოს შეურაცხმყოფელი ტერმინებით და შეურაცხმყოფელი ტონით. ამიტომ მე, უბრალოდ, მას და ნებისმიერ მინისტრს თუ არამინისტრს ვეუბნები, შეურაცხყოფაზე მიიღებენ შეურაცხყოფას. რა აზრი აქვს საკითხების განხილვაში მონაწილეობას ადამიანებთან, რომლებიც მოსულები არიან შეურაცხყოფის მოსაყენებლად და საჩხუბრად? არ გვინდა, ხელი შევუშალოთ და არ გვინდა, ჩვენ დაგვბრალდეს რეფორმების ხელის შეშლა, გააგრძელონ და აკეთონ რეფორმები, — განაცხადა ბობოხიძემ.

მომხდარ ინციდენტზე კომენტარი დავით დარჩიაშვილმაც გააკეთა. მან ისიც განმარტა, თუ რატომ დატოვა უმცირესობამ სხდომა. მისი თქმით, უმცირესობამ დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა, რათა სიტუაცია „ჯუნგლების კანონში" არ გადასულიყო:

— როდესაც პარლამენტის წინაშე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი წარდგება და დეპუტატის კითხვებს ისეთ ცინიკურ და შეურაცხმყოფელ პასუხებს გასცემს, რასაც ადგილი ჰქონდა, ამ შემთხვევაში რჩება რეაგირება ან პარლამენტის თავმჯდომარისგან, ან ჯუნგლების კანონი. ჩვენ ერთობლივი გადაწყვეტილებით პროტესტის ნიშნად დავტოვეთ დარბაზი და მოვითხოვთ, რომ შესაბამისმა ეთიკის საბჭომ განიხილოს ეს საკითხი და რეაგირება ჰქონდეთ. მე პირადად მიმაჩნია, რომ კონკრეტულად ეს ადამიანი აღარ უნდა იყოს წარმოდგენილი პარლამენტში, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, — განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

უმცირესობა სხდომაზე აღარ დაბრუნებულა. ამის მიზეზი უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა განმარტა. მისი თქმით, დაუბრუნებლობის გადაწყვეტილება მათ მას შემდეგ მიიღეს, რაც პლენარულ სხდომაზე მოხდა.

— ჩვენ დღევანდელ განხილვებსა და კენჭისყრებში არ მივიღებთ მონაწილეობას, რადგან ჩანს ის აგრესია, რომელიც მთავრობის წარმომადგენლისაგან მოდის. პირველად ხდება მსგავსი შემთხვევა, როცა კანონპროექტის განხილვისას მომხსენებელი აგრესიით გამოდის საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელზე. პარლამენტის ვიცესპიკერმა სიტუაციის განმუხტვაც ვერ შეძლო. ვფიქრობ, დავით უსუფაშვილმა ამასთან დაკავშირებით კომენტარიც უნდა გააკეთოს და შენიშვნა უნდა მისცეს იზორიას, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

მისმა კოლეგამ ჩიორა თაქთაქიშვილმა კი სხვა ამბავზე ატეხა განგაში. დეპუტატმა, მისი თქმით. სკანდალური დოკუმენტი გამოაქვეყნა და პირობა დადო, რომ ამაზე ყველა პასუხს აგებს.

ჩიორა თაქთაქიშვილი „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ავრცელებს მთავრობის დადგენილების ფოტოს, სადაც წერია, რომ საქართველოში აღმართული საოკუპაციო ხაზი არის „გამყოფი ხაზი" და არა ე.წ. საზღვარი.

დეპუტატის თქმით, საქართველოს ახალი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არა ოკუპირებული, არამედ გაუგებარი მიზეზით არის გაყოფილი.

— მოგვიწვიეს სხდომაზე, სადაც უნდა განგვეხილა „ოკუპაციის ხაზთან მდებარე სოფლებში" არსებული მდგომარეობა. გამიკვირდა, ვიფიქრე, მთავრობა გონს ხომ არ მოეგო-მეთქი. აი, რა აღმოვაჩინე სამაგიეროდ!

მთავრობის ოფიციალური პოზიციაა, რომ საქართველოში აღმართული საოკუპაციო ხაზი არის თურმე „გამყოფი ხაზი", საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებული კი არაა და, შესაბამისად, ოკუპანტი კი არ არსებობს, არამედ თურმე გაუგებარი მიზეზით არის გაყოფილი!!! ეს წერია მთავრობის დადგენილებაში და ამაზე პასუხს აგებს თითოეული მინისტრი.

ადრე ეს მარტო ზაქარეიშვილის პოზიცია მეგონა და ვწერდი, რომ მისი უწყების საიტზე ცენზურაა სიტყვა „ოკუპაციის გამოყენებაზე", ახლა ვიგებ, რომ ეს არის ოფიციალურად, სამართლებრივად გაფორმებული პოზიცია სტრუქტურისა, რომელიც „საქართველოს მთავრობად" უნდა მოვიხსენიოთ.

ხედავთ, როგორ აღწევს რუსეთი თავის მიზანს მაშინ, როდესაც 5 წელი ვერაფრით ვერ გადაარწმუნა საერთაშორისო საზოგადოება „ახალი რეალობის" აღიარების აუცილებლობაში?

რატომ იყო ეს ინფორმაცია აქამდე დამალული?! მე ახლა გავიგე, სამწუხაროდ და ჩემი შეცდომაცაა, რა თქმა უნდა. თქვენ იცოდით მთავრობის ეს დადგენილება? — წერს თაქთაქიშვილი.

# „ნორლანდმა თავის სიტყვები უკან უნდა წაიღოს!"

შორენა მარსაგიშვილი




ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი ყველაფერზე კომენტარს აკეთებს. მისი კომენტარის გარეშე სიოც კი არ უბერავს საქართველოში. მის კომენტარებს ერის ნაწილი — სიამაყით, ნაწილი კი ირონიით ხვდება ხოლმე. რიჩარდ ყველაფრის დამკომენტარებლის ბოლო განცხადებამ კი ერიც და პოლიტელიტაც შოკში ჩააგდო.

საქართველოში აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდის აზრით, ქართველები აფხაზებსა და ოსებს ეპყრობოდნენ დაახლოებით ისე, როგორც მანამდე რუსები ქართველებს და ამისთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ.

— რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობას, ეს არის ხანგრძლივ პერსპექტივაში განსახილველი თემა და აქ სწრაფი გადაჭრა, როგორც ასეთი, არ არის. არ მიმაჩნია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი განიხილავენ საკუთარ მომავალს მხოლოდ ერთი — ჩრდილოეთის მიმართულებით. მათ ბევრი შესაძლებლობა აქვთ, მათ შორის — ეკონომიკური, სამხრეთითაც. ჩვენ ვსაუბრობთ ახალ „აბრეშუმის გზაზე", სატრანზიტო დერეფანზე, რომლის ნაწილად ყოფნის სურვილი, ვფიქრობ, ექნებათ იმ ადამიანებს, ვინც სოხუმში თუ გუდაუთაში ცხოვრობენ. ჩემი პირადი შეხედულება თუ გაინტერესებთ, მაშინ, როდესაც 20 წლის წინ საქართველოში ვიმყოფებოდი ეუთო-ს წინამორბედი ორგანიზაციის ეგიდით, თქვენი დინამიკა მაშინ მაგონებდა ისეთ ვითარებას, რომ ქართველები ეპყრობოდნენ ეთნიკურ უმცირესობებს დაახლოებით ისე, როგორც რუსები ეპყრობოდნენ მანამდე თავად ქართველებს. აფხაზებსა და ოსებს ჰქონდათ იმის საფუძველი, რომ თავი ეგრძნოთ უმცირესობად საქართველოში. იმ პროცესში, როდესაც საქართველო ცდილობს, მიმზიდველი გახადოს თავისი თავი ამ რეგიონებისთვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ალბათ, მოუწევს ისიც, რომ მოახდინოს გადაფასება, აღიაროს და მოიხადოს ბოდიში წარსულის შეცდომებისთვის. განტოლების მეორე მხარე არის ის, რომ უფრო წარმატებულად უნდა მოხდეს რუსეთთან ურთიერთობების მართვა, რადგან რუსეთი უდავოდ შეეცდება, გამოიყენოს სისუსტეები, მაგრამ გამოცდილება იმ ქვეყნებისა, რომლებიც რუსეთის პერიფერიაზე მდებარეობენ, გვაჩვენებს, რომ ამ ურთიერთობების მართვა შესაძლებელია წარმატებულად კონფლიქტების თავიდან აცილებით, — განაცხადა ნორლანდმა სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას.

ნორლანდის განცხადებით, პარტია „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი აღშფოთდა. ის საქართველოს ხელისუფლების რეაქციითაც შეშფოთებულია.

— როცა აშშ-ის ელჩი ასეთი რამის თქმას ბედავს და როცა სტუდენტები მყისიერ რეაგირებას არ აკეთებენ, ეს უკვე საქართველო აღარ არის, — ამბობს „თეთრების" ლიდერი.

თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებულის შტატების მმართველი წრეები ამართლებენ რუსეთის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით და რუსეთის მეგობრები უფრო არიან, ვიდრე საქართველოსი.

— დამაფიქრებელია, რომ ამ განცხადებას აშშ-ის ელჩი პრეზიდენტის ინაუგურაციის კვირაში აკეთებს. ასეთი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსი შემთხვევით არაფერს ამბობს. უცხო სახელმწიფოს ასეთ პოზიციას ნამდვილად არ მოითმენდა არც 80-იანი წლების, არც 90-იანი წლების, არც 21-საუკუნის საწყისის საქართველო. როგორც არასდროს, ისე დგას საკითხი განახლებული ეროვნული მოძრაობის დაწყების თაობაზე. ვიფიქროთ ამაზე, ვისაც გვაქვს ქართული ცნობიერება, წარსულის პატივისცემა და ვინც განწყობილნი ვართ მომავლის საქართველოსათვის, — განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

ნორლანდის განცხადებას პაატა დავითაიაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ელჩის განცხადება, რომ ქართველებს აფხაზებისა და ოსებისათვის ბოდიში აქვთ მოსახდელი, ეხმაურება და ამბობს, რომ ეს განცხადება ყოვლად მიუღებელია. დავითაიას განმარტებით არასწორია ის ფაქტი რომ ქართველები ოსებსა და აფხაზებს ისე ექცეოდნენ, როგორც დღეს რუსები ექცევიან ქართველებს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია თანხმდება, რომ ეს იყო ეთნიკური წმენდა და დავითაია დარწმუნებულია, რომ ელჩის განცხადება არ არის ამერიკის სახელმწიფოს პოზიცია:

— 13 ნოემბერს აშშ-ის ელჩმა გააკეთა განცხადება სადაც მან თქვა, რომ აფხაზებსა და ოსებს ქართველებმა უნდა მოუხადონ, სავარაუდოდ, ბოდიში. ის რომ ქართველები აფხაზებსა და ოსებს ექცეოდნენ ისე, როგორ ახლა რუსები ექცევიან ქართველებს, ეს განცხადება არის ყოვლად მიუღებელი. ხაზი მინდა გაუსვა და მინდა შევახსენო შეერთებული შტატების ელჩს, რომ აფხაზეთში ცხოვრობდა 500 ათასამდე ადამიანი, აქედან 70 ათასი ადამიანი იყო აფხაზი, 300 ათასი იყო ქართველი, დანარჩენი იყო სხვა ეროვნების წარმომადგენელი და აი ასეთ ფონზე ის პარლამენტი, რომელიც აირჩიეს აფხაზეთში, ქართველებს, რომელიც მოსახლეობით უფრო მეტი იყო, ნაკლები ადგილი ჰქონდათ ვიდრე 70 ათას აფხაზს. მათ უფრო მეტი მანდატი გააჩნდათ პარლამენტში, მათ გააჩნდათ სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტი , სახელმწიფო თეატრი და ორკესტრი აფხაზური. რომელ მოქცევაზეა საუბარი. ამის შემდეგ აფხაზებმა შექმნეს თავის შინაგანი ჯარი, გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და ამას მოჰყვა კონფლიქტი. დღეს 300 ათასი ადამიანი არის დევნილი და იქ მოხდა ეთნიკური წმენდა. არც ერთ საერთაშორისო შეხვედრაზე არ მომისმენია ასეთი პოზიცია, თითქოსდა ქართველები ჩაგრავდნენ აფხაზებსა და ოსებს. მინდა ელჩს შევახსენო, არის ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილება, სადაც მკაცრადაა გაწერილი, რომ მოხდა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. დღეს ბოდიში არავისზე ქართველებს მოსახდელი არ აქვთ. ბოდიში თუ აქვს ვინმეს მოსახდელი, მოსახდელი აქვს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს, სპეცსამსახურებს და სეპარატისტებს ყველა იმ გმირი დედისათვის ვინც თავი გაწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ყველა იმ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ვინც შეეწირა ეთნიკურ წმენდას იმისათვის, რომ ის იყო ქართველი, მე მიკვირს მაშინ, თუ ჩვენ ბოდიში გვაქვს მოსახდელი, როგორ მოდის ამერიკის ელჩი, გმირთა მოედანზე, რატომ დებს გვირგვინს იმ მეომრების წინაშე, ვინც თავი გაწირა ტერიტორიული მთლიანობისათვის, თუ მათ ბოდიში აქვთ მოსახდელი იმის გამო, რომ ქართველობას იცავდნენ. მე მინდა, მივმართო ელჩს და მოვუწოდო მას, თავი შეიკავოს ასეთი განცხადებებისაგან. დარწმუნებული ვარ, რომ აშშ-ის სახელმწიფოს პოზიცია ეს არ არის და ეს მისი პირადი აზრია, მე მზად ვარ, შევხვდე და წავუკითხო ბოლო წლების სეპარატისტთა ისტორია და ვინ იდგა ამის უკან და ამის გაცნობის შემდეგ იმედს ვიტოვებ, რომ ის თავის სიტყვებს უკან წაიღებს, — განაცხადა პაატა დავითაიამ „პირველი რადიოს" რადიოკლუბში გამართულ ბრიფინგზე.

# „არჩეულ მერს საკრებულომ უნდობლობა არ უნდა გამოუცხადოს“

მერი ნამორაძე



როგორ შეიძლება, სოფლის ან ქალაქის მოსახლეობა აქტიურად ჩაერთოს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში, როცა უბანში თუნდაც 1000-ლარიანი პრობლემის მოგვარებისთვის უნდა მიმართოს გამგეობას, გამგეობამ ეს მიმართვა უნდა გადაამისამართოს სამინისტროში, ამას უნდა მოჰყვეს ტენდერის გამოცხადება, საკითხი მთავრობის სხდომამდე უნდა მივიდეს, რომ, მაგალითად, წყლის მილი რომელიმე სოფელში შეკეთდეს. „არანორმალური ვითარება“, როგორც ამას კანცელარიის რეგიონებთან და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა უწოდა, თვითმმართველობის რეფორმის დაწყების შემდეგ უნდა მოგვარდეს.

გუშინ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილე თენგიზ შეგელაშვილმა და მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა თვითმმართველობის კოდექსი თბილისის საკრებულოს წარუდგინეს. საკრებულოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ერთობ განაწყენებული იყო ხელისუფლებაზე, რომ კოდექსის განხილვის პროცესი სახელისუფლებო წრეებში ჩაიკეტა და საკრებულომდე განსახილველად გვიან მივიდა, მაგრამ თავი გუშინ იმით დაიმშვიდა, რომ არც ამჯერად იყო განხილვა გვიან და საკრებულოს წევრებთან ერთად მერიაც მიიწვია კოდექსის ავტორებთან შეკითხვების დასასმელად.

უმთავრესი სიახლე თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდაა. ნაცვლად დღეს არსებული 5 თვითმმართველი ქალაქისა, ეს სტატუსი მიენიჭება იმ ქალაქებსაც, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია. თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. თვითმმართველი ერთეულების მმართველი რგოლები იქნება არჩევითი. ასევე განისაზღვრა ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა, რაც თვითმმართველებს მეტ ფინანსურ რესურსს გაუჩენს. კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რამაც სოფლის მცხოვრებთა რეალური საჭიროებების გამოვლენასა და მათ გადაწყვეტას უნდა შეუწყოს ხელი. თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმოდგენილნი იქნებიან საკრებულოს წევრები. ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სიახლე შეეხება თბილისის მოწყობასაც, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით. თბილისის მოწყობაში შემოდის უბნის საბჭოები, რომლების დედაქალაქის მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენისა და მათი ინტერესების დაცვის მიზნით შეიქმნება. თბილისის უბნებს შექმნის და გააუქმებს თბილისის საკრებულო. უბნებში შეიქმნება უბნის საბჭოები, რომლებიც განახორციელებენ კოდექსით მათზე გადაცემულ თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებებს. უბნის საბჭოს შეეძლება მოამზადოს და დაამტკიცოს საპროექტო განცხადება; დააყენოს რაიონის გამგებლის პასუხისმგებლობის საკითხი; ინიცირება მოახდინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის და ასე შემდეგ. უბნის საბჭოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადი იქნება მხოლოდ უბნის საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა.

მეორე მნიშვნელოვანი სიახლე შეეხება საკრებულოს მიერ მერიისთვის უნდობლობის გამოცხადება. საკრებულოს სიითი შემადგენლობის ორ მესამედს შეეძლება, უნდობლობა გამოუცხადოს მერს, რის შემდეგაც დაინიშნება მერის რიგგარეშე არჩევნები. უნდობლობით საფუძველი შეიძლება იყოს თბილისის ამომრჩევლის 20 პროცენტის მოთხოვნა ან თბილისის საკრებულოს შემადგენლობის ნახევრის მიერ დასმული საკითხი. რეფორმის შემდეგ ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება ექნება მხოლოდ საკრებულოს, რითაც მკაფიოდ გაიმიჯნება თბილისის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს როლი.

როგორც ირაკლი მელაშვილმა აღნიშნა, ეს რთული და დიდი რეფორმა რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება და პროცესში იქნება კორექტირებები. წარსულს ჩაბარდება დრო, როცა გადაწყვეტილებები მხოლოდ ერთი პარტიის მიერ ცენტრალურ დონეზე მიიღება.

თბილისის მერია გუშინ უგულავას მოადგილე ირაკლი აბესაძე წარმოადგენდა. მისი თქმით, მათთვის მისაღებია კოდექსის ძირითადი მიმართულებები თვითმმართველობების გაძლიერებისა და მოსახლეობის ჩართულობის მხრივ, თუმცა, მისი თქმით, კოდექსთან დაკავშირებით შენიშვნები არსებობს:

– მივესალმები თვითმმართველობების ორგანოების დამოუკიდებლობის გაზრდასა და მოსახლეობის უფრო მეტად ჩართულობას მის საქმიანობაში, თუმცა, ამავე დროს, არ გვინდა, რომ ამავე კოდექსმა რაიმე სახის საფრთხე შეუქმნას მერიის საქმიანობას, რომელსაც ის აქამდე ახორციელებდა. მაგალითად, არ ვეთანხმებით იმას, რომ მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩეული მერს საკრებულომ უნდობლობა გამოუცხადოს, – განაცხადა აბესაძემ.

საკრებულოს დეპუტატები დაინტერესდნენ, ხომ არ ჩაანაცვლებს მაჟორიტარი დეპუტატის ფუნქციას საუბნო საბჭოს თავმჯდომარე და რამდენად იარსებებს იმის გარანტია, რომ ეს საბჭოები არ მოექცევიან ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშ, როგორც ეს ამხანაგობების შემთხვევაში მოხდა. მელაშვილმა სამომავლოდ არ გამორიცხა მაჟორიტარი დეპუტატების ფუნქციის ამოვარდნა. პოლიტიკურ გავლენასთან დაკავშირებით კი კაციტაძემ განაცხადა, რომ საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას ეს პროცესი, თუმცა, თბილისის მოსახლეობა იმდენად ჭრელია პოლიტიკური განწყობების თვალსაზრისით, რომ საბჭოს წევრები ერთმანეთის დაბალანსებას შეძლებენ, თუ საქმე მაინცდამაინც პოლიტიკურ განწყობებზე მიდგება.

საკრებულოში ამბობენ, რომ ქალაქს სამართლიანი სახელისუფლებო ძალთა ბალანსი სჭირდება რადგან თბილისი მაგალითის მიმცემია ქვეყნისათვის და მმართველობის ფორმაც სამაგალითო უნდა იყოს მთელი საქართველოსთვის.

# თსუ-ს რექტორი მთავრობას მიმართავს

შორენა კოწოწაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა მთავრობას მიმართავს და იმ პრობლემების მოგვარების კუთხით გააქტიურებას სთხოვს, რომელიც წლების მანძილზე დაგროვდა.**

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, განათლების სფეროს მესვეურები და ექსპერტები წლების განმავლობაში საუბრობდნენ იმ მანკიერ ტენდენციასა და განათლების სისტემის ნგრევაზე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ხორციელდებოდა და რომელიც მიზნად ისახავდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩაკვლას და ქართველების მომსახურე ერად ჩამოყალიბებას.



ლადო პაპავა საკუთარ განცხადებაში მთავრობას სწორედ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხის განხილვას სთხოვს და მიაჩნია, რომ საკითხს კოალიციური მთავრობა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მიუდგეს და არა ისე, როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა.

– ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო განათლებისა და მეცნიერების მთავარი საყრდენი, საზოგადოებრივი ცხოვრების ტონის მიმცემი. ამიტომ თსუ საზოგადოების მხრიდან ყოველთვის მაღალი ყურადღებისა და ინტერესის სფეროა. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერების განვითარებისადმი მცდარმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობას. კერძოდ, თსუ-სთვის გადმოცემული 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან უმეტესობა შენობა-ნაგებობების გარეშე დარჩა. ნაწილი შენობებისა უკვე გასხვისებულია, მეორე ნაწილის თსუ-სთვის გადმოცემა კი, რატომღაც ფერხდება. გასათვალისწინებელია ამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე მეცნიერ-თანამშრომელთა სტრესული მდგომარეობა. შეუსაბამო შენობისა და ინფრასტრუქტურის გამო, სამეცნიერო საქმიანობა და კვლევები სრულყოფილად ვერ ხორციელდება. იმის მიუხედავად, რომ უნივერსიტეტმა შეძლებისდაგვარად მოახერხა შენობების გარეშე დარჩენილი ინსტიტუტების სხვა კორპუსებში გადანაწილება, მათი მდგომარეობა მაინც მძიმეა, – წერს თსუ-ს რეაქტორი ვლადიმერ პაპავა თავის განცხადებაში.

მთავრობის სახელზე გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ პრივატიზების შედეგად შენობები ჩამოერთვა ისეთ კვლევით დაწესებულებებს, რომელიც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის საქმიანობას ეწეოდა. მათ შორისაა: ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი.

ვლადიმერ პაპავას თქმით, სამწუხაროდ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო ფერხდება პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ძირითადი კორპუსების გადმოცემის საკითხი.

განცხადების თანახმად, გაურკვეველია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბედი.

– დღის წესრიგში დგას თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სასწავლო-კვლევითი დანიშნულების დაწესებულების – ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო ლაბორატორიის საკითხი. ამ ლაბორატორიაში სერიოზულ კვლევებთან ერთად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, – აცხადებს ვლადიმერ პაპავა და საქართველოს მთავრობას მიმართავს, რომ უმოკლეს ვადაში განიხილოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენობა-ნაგებობების საკითხი; გაითვალისწინოს, როგორც ამ ინსტიტუტების, ასევე მეცნიერ-თანამშრომელთა ბედი.

– ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ხელისუფლება სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და არ გაიმეორებს ადრე დაშვებულ შეცდომებს, – წერს თსუ-ს რექტორი ვლადიმერ პაპავა მთავრობის სახელზე გაკეთებულ მიმართვაში.

# დავით კეზერაშვილსა და ზურაბ ადეიშვილზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავდაცვის ყოფილი მინისტრ დავით კეზერაშვილსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილზე ინტერპოლის მწითელი ცირკულარით ძებნის გამოცხადებაზე ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

შსს-ს ინფორაციით, მიმდინარე წლის 14 ნოემბერს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დაკავების და შემდგომი ექსტრადირების მიზნით ინტერპოლის წითელი ცირკულარები გამოიცა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილ, 22.09.1978 წელს დაბადებულ დავით შოთას ძე კეზერაშვილსა (კონტროლის ნომერი 7217/11-2013 და 7218/11-2013) და 27.07.1972 წელს დაბადებულ ზურაბ შალვას ძე ადეიშვილზე (კონტროლის ნომერი 7203/11-2013). დავით კეზერაშვილს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება), 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით (საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა – განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ), 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – ფულის გათეთრება, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება) და 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი რაოდენობით მითვისება/გაფლანგვა) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.



ზურაბ ადეიშვილს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-332-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, (აღმსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 25-144-ე პრიმა სამის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (აღმსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), 25-145-ე მუხლით (აღმსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა, დანაშაულის პროვოკაცია) და 25-369-ე პრიმა ერთის მე-3 ნაწილით (აღმსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა, მტკიცებულების ფალსიფიკაცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი შიხიაშვილი: „600 ავტობუსის შესაძენად 350 მლნ ლარია საჭირო“

მერი ნამორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა. საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რამდენიმე პირი დაინტერესებულია ტენდერის შეჩერებით და სამგზავრო ავტობუსების საქართველოში წარმოებით, ამიტომ ეს საკითხი საკრებულოს მიერ განხილვას იმსახურებს.

– ეს პირები ტენდერში მონაწილეობის საშუალებას ითხოვენ, რაც, თავის მხრივ, წარმოების გაჩენას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ნიშნავს. თავისთავად სახელები და გვარები არაფერს ნიშნავს, თუ ამ ადამიანებს ბექგრაუნდი არ აქვთ, რაც იმით გამოიხატება, თუ რა აქვთ გაკეთებული ზოგადად თავისი საქმიანობის პერიოდში. ეს ადამიანები არიან: ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ყოფილი ტექნიკური დირექტორი და სს „ფოთის გემთსაშენის“ დირექტორი ავთანდილ ხოფერია, შპს „ბი ჯი თის“ დირექტორი დავით აბრამიშვილი, სს „ორიონის“ გენერალური დირექტორი დავით ყენია და სხვები. ამ პიროვნებებს აქვთ ასეთი წინადადება, რომ გამოცხადებული ტენდერი შეჩერდეს და იმ ვადებში, რა ვადებშიც უცხოელი ინვესტორი შეძლებს პირველი ავტობუსების შემოყვანას თბილისში, იმავე პერიოდში შეძლებენ ახალი ავტობუსის აწყობას „ორიონის“ ტერიტორიაზე და 500-დან 1000-მდე ადამიანის, მათ შორის 50 ინვალიდის დასაქმებას. რატომ უნდა უნდოდეს ვილაცას, რომ ფორსირებულად, ქვეყნის გარეთ შევიძინოთ ავტობუსები და ეს თანხა ქვეყნის გარეთ გავუშვათ, რომელიც, ჯამში, 600 ავტობუსის შესაძენად დაახლოებით 350 მლნ ლარს შეადგენს, – განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნულ საკითხზე თბილისის საკრებულოს დელეგაციას ჩეხეთში ვიზიტად ყოფნისას საინტერესო შეხვედრები ჰქონდა.

# ლევან კალანდაძე: „ცხოვრება ძვირდება!“

თამარ ნინიძე

**ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისია, ეკონომიკის სპეციალისტები აცხადებენ, რომ საბიუჯეტო გარღვევაა და ეკონომიკაში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. „ახალ თაობას" ესაუბრა ეკონომიკური ექსპერტი, „ახალი მემარჯვენეების" მთავარი საბჭოს წევრი ლევან კალანდაძე.**

***— ბიუჯეტის განხილვის თემამ ხმაური გამოიწვია. ითქვა, რომ ის არის ორიენტირებული ძირითადად სოციალურ პროექტებზე. თქვენ როგორ შეაფასებთ 2014 წლის ბიუჯეტს?***

— 2014 წლის ბიუჯეტს რა პრობლემები შეიძლება ჰქონდეს, ამისთვის საჭიროა გავაანალიზოთ 2013 წლის ბიუჯეტის მდგომარეობა. სამწუხაროდ, ცნობილია, რომ 2013 წლის ბიუჯეტი გარღვეულია, დეფიციტი გვექნება, ბიუჯეტი დაიგეგმა არასწორად, დაგეგმვის პროცესში მოხდა შეცდომები, 2013 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ რეალური ანალიზი არ მოახდინა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის. წინა ხელისუფლებისგან „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო არასახარბიელო მდგომარეობა. 2012 წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნებოდა რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესება. უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, ბიზნესში ბრუნვები შემცირდა, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ეს ფაქტორები არ ან ვერ გაითვალისწინა, ბიუჯეტი ზედმეტად ოპტიმისტურად დაგეგმა როგორც შემოსავლების ნაწილში, ისე მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-იანი მაჩვენებლის კუთხით. ბიზნესი გადავიდა მოლოდინის რეჟიმში, დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვები მნიშვნელოვნად შემცირდა, შემცირდა ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა. 2013 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ ხისტი პოლიტიკა განახორციელა ბიუჯეტთან მიმართებით, თვითკმაყოფილების მაღალი ხარისხი იყო მთავრობის ეკონომიკური გუნდის მხრიდან, როცა 2013 წლის პირველი და მეორე კვარტლის ბოლოს მივუთითებდით გარკვეულ რისკებზე, ხელისუფლებამ ეს მითითებები არაფრად ჩააგდო, საბიუჯეტო მენეჯმენტი იყო წარუმატებლად განხორციელებული. 2013 წლის ბიუჯეტს უკვე აღარაფერი ეშველება, ამას ბიუჯეტის სეკვესტრს დაარქმევენ თუ ხარჯების კორექტირებას, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ფაქტია, რომ ბიუჯეტი გაირღვა. 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში კვლავ შეინიშნება ხარვეზები, რაც 2013 წელს იყო, მოჭარბებული ოპტიმიზმია, ბიუჯეტი სოციალურად ისევ ზედმეტად დატვირთულია, ვიდრე ეკონომიკური პრიორიტეტების დახვეწაზე. ფულის ხარჯვა შეამცირა, ხელისუფლებამ დაარეზერვა, პენსიებსა და ხელფასებს რომ პრობლემები არ შექმნოდა, დაგეგმილი მშპ-ს მაჩვენებელთან დაკავშირებითაც არის ზედმეტი ოპტიმიზმი, 5%-ია ზრდა, მაგრამ ესეც ზედმეტად ოპტიმისტურია. საგადასახადო ნაწილში, ფაქტობრივად, ზრდა არა გვაქვს, შემცირებაც კი არის დაგეგმილი. ხელისუფლება ეკონომიკური აქტივობის შემცირებას გეგმავს. ერთადერთი პროგნოზი ზრდასთან დაკავშირებით უკავშირდება აქციზის გადასახადს. ეს განპირობებულია არა ეკონომიკური ზრდით, არამედ აქციზის გადასახადით თამბაქოზე. იზრდება სოციალური ვალდებულებები, 800 მილიონიდან 1 მილიარდ ასი მილიონამდე. ოთხასი მილიონი აქედან მოდის შიდა ვალის აღებაზე, 730 მილიონი, დაგეგმილია, რომ უნდა ავიღოთ სესხის სახით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.



***— აქვს დაგეგმილი ხელისუფლებას რაიმე ეკონომიკური წინსვლა კონკრეტული მიმართულებებით?***

— მცირე და საშუალო ბიზნესი, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან ეს ტერმინი აღარ მსმენია არადა, მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სასიკეთო გარემოს შექმნაზე იყო აქცენტი გაკეთებული. ამ თვალსაზრისით საგადასახადო კოდექსშიც ცვლილებები არც 2013 წელს იყო, არც 2014 წელს ველოდებით რაიმე ცვლილებას. ანტიმონოპოლიური რეგულირების ნაწილს რაც შეეხება, ხელისუფლება ყოველთვის გვპასუხობს, რომ ამ საკითხზე მუშაობს, სააკაშვილის დროს თუ გარკვეული ბიზნესი იყო მონოპოლიზებული, ამის ნიშნები დღესაც დარჩა და ამ შეკითხვებს პასუხი არ გაეცა. ქვეყანაში მეტი მონოპოლია გაჩნდა დღეს, ვიდრე წარსულში, გადაზიდვების სფერო დახურულია, შაქრის, კვების პროდუქტების ბიზნესი, საწვავის ბიზნესი, სადაზღვევო კომპანიების განდევნა მოხდა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებიდან, ბიზნესისთვის დაცულობის განცდა დღეს კვლავ პრობლემურია. მოტივაცია ბიზნესისთვის რომ მან ინვესტიციები განახორციელოს, არ არის. 2014 წელს კიდევ უფრო გაგვიჭირდება. 2013 წელს ხელისუფლებამ ბიუჯეტის სოციალური ვალდებულებების ნაწილი მაინც შეასრულა, ახლა კი ესეც საეჭვო იქნება. ინფლაციური პროცესების პროვოცირება შეიძლება მოხდეს. ნეგატიური კუთხით ეს აისახება სამომხმარებლო ბაზარზე, ცხოვრება გაძვირდება.

***— ლარის კურსმა დაიწყო მერყეობა. ეს შედეგია მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა?***

— ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაში ექსპორტი იზრდება, ლარზე მოთხოვნა იზრდება, არასწორი ხარჯვითი პოლიტიკა ვახსენე, ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა პრაქტიკა, რომ არეზერვირებდა ფინანსებს, ამ დროს ოქტომბერში ერთბაშად დახარჯა უამრავი თანხა, ამან გამოიწვია ლარის მსყიდველობითი უნარის დაცემა, მაგრამ მოტივი და მიზანი რა ჰქონდა ხელისუფლებას, ისმის კითხვა, ხომ არ ჰქონდა ადგილი მცდელობას ხელისუფლების მხრიდან ლარის მსყიდველობითი უნარის ხელოვნური დაცემით ანუ ინფლაციით საბიუჯეტო დეციციტის ნაწილი გადაეფარა. საბედნიეროდ, ეროვნული ბანკი დროულად ჩაერია, ოცმილიონიანი ინტერვენციით სავალუტო ბაზარზე ლარის კურსის შენარჩუნება მოხდა. ეს ყველაფერი მოხდა მას შემდეგ, რაც ლარის მდგომარეობამ ხმაური გამოიწვია.

***— ფინანსთა მინისტრმა ლამის სააკაშვილს დააბრალა ეკონომიკური კრიზისი, თქვა, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში თანხები აღარ დარჩაო.***

— მაპატიეთ, მაგრამ სააკაშვილის ფონდი სულ ორმოცდაათმილიონიანია, საქართველოს ბიუჯეტი კი იყო 8 მილიარდი, ეკონომიკით ოდნავ მაინც დაინტერესებული ადამიანიც კი მიხვდება, რომ ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს არ უკავშირდება. ევროპული სტანდარტი არ ნიშნავს იმას, რომ როცა პრობლემა გაქვს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით ხელები სხვას უნდა შეახოცო. ბიუჯეტის გარღვევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ხელისუფლება.

***— გადამამუშავებელ მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებით არის შენიშვნები. გორის რაიონში ხილი გაფუჭდა იმის გამო, რომ არ იყო საწარმოები, რომელიც მას ჩაიბარებდა.***

— არასწორი მოსაზრებაა, რომ ხელისუფლებამ უნდა შექმნას საწარმოები, არა, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საამისო გარემო, რომ ბიზნესმა მოახერხოს განვითარება. ხელისუფლებამ ამისთვის გარემო ვერ შექმნა.

***— სოფლად კოოპერატივების შექმნასთან დაკავშირებით თუ ხართ საქმის კურსში რა ხდება, როგორ მიდის ეს პროცესი?***

— კოოპერაცია ნებისმიერი ქვეყნის სოფლის განვითარების და წარმატების საფუძველია. კოოპერაციის საკითხი სხვა ქვეყნებში საკმაოდ განვითარებულია. საქართველო თურქეთს ვერ გაუწევს კონკურენციას, თუ აქედანვე არ დაიწყო ამ სისტემაზე გადასვლა. ახალი კანონპროექტი მივიღეთ, იდეა ძალიან კარგია, ახლა მთავარია სწორი მენეჯმენტის უზრუნველყოფა.

# „საბჭოთა კავშირის დროს სასამართლო უფრო თავისუფალი იყო“

გულიკო ბალაძე

**სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე ამბობს, რომ სასამართლო საბჭოთა დროს უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე ბოლო 9 წლის განმავლობაში.**

— ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოში იყო მიშას სამართალი. მოსამართლეებს მიშა აძლევდა კონსულტაციებს. ისინი ელოდნენ, მიშა რას ეტყოდა, რომ საკითხი იმის მიხედვით გადაეწყვიტათ, — აცხადებს ოთარ გამყრელიძე.

***— ბატონო ოთარ, თქვენ მოღვაწეობა მოგიწიათ საბჭოთა პერიოდში და კარგად იცით, როგორ მუშაობდა საბჭოთა მართლმსაჯულება. მინდა, შევადაროთ დღევანდელი და საბჭოთა მართლმსაჯულება.***

— ყველამ იცის, რა ხდებოდა 37-იან წლებში, სტალინის დროს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ სათავეში მოვიდა ხრუშჩოვი. საქართველოში ამ პერიოდს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად არ აფასებენ. სამართალს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირში თავისებური ნიურნბერგის პროცესი ჩატარდა – დახვრიტეს ის ხალხი, რომელმაც 30-იან წლებში რეპრესიები ჩაატარა. ბერია, აბაკუმოვი და სხვები. საქართველოში კგბ-ს უფროსი და კიდევ ბევრი ხალხი დასაჯეს. ეს იყო იმ ეპოქის გაკიცხვა.

***— გასამართლება?***

— დიახ, თავისებური გასამართლება. ამ გაგებით, 37-იანი წლები გასამართლდა. ამან თავისთავად მისცა საბაბი სამართლებრივ რეფორმას საბჭოთა კავშირში. ეს რეფორმა დაიწყო 1958 წლიდან. ამ დროიდან საბჭოთა კავშირში, ფაქტობრივად, სამართალი აღდგა.

***— სამართლიანობა აღდგა?***

— დიახ. სამართლიანობის აღდგენა კანონმდებლობაში გამოჩნდა. 1958 წლიდან დაიწყო რეფორმა, გამოიცა კანონები. შეიქმნა საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, სადაც სრულიად ახლებურად დაისვა საკითხები და ადამიანის უფლებები იყო დაცული. არ ვამბობ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ, თანდათან, შედარებით, ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა.

***— თქვენ სტალინისტი არ ხართ?***

— არა. მე 1924 წელს დამიხვრიტეს ბიძა. 1938 წელს მამაჩემი დააპატიმრეს და 21 წელი ციმბირში გაატარა. მე ისე გავატარე მთელი ცხოვრება, პარტიაში არასოდეს ვყოფილვარ. 1 ოქტომბერს ამ ინსტიტუტში მუშაობის 50 წელი შემისრულდა. ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში დავიბადე. ჩემი ოჯახი აქ ცხოვრობდა, მაგრამ ბებიასთან ავიჩემე ყოფნა და იქ ვსწავლობდი. ვინაიდან ძალიან დიდი მისწრაფება მქონდა განათლებისკენ, 1949 წელს, X-XI კლასებში თბილისში წამოვედი, სადაც დედა და და-ძმები ცხოვრობდნენ. მამა გადასახლებული გახლდათ და 1959 წელს დაბრუნდა. ბავშვობიდანვე ისტორიით ისე ვიყავი გატაცებული, რომ მასწავლებელს შენიშვნებს ვაძლევდი. მე-11 კლასში ისტორიას დირექტორი მიკითხავდა. ერთხელ გაკვეთილი რომ ახსნა, შენიშვნა მივეცი, მართალი არ ხართ-მეთქი. აბა, როგორ არისო? მე ავდექი და ავხსენი. ის ნამდვილი პედაგოგი აღმოჩნდა და არ განაწყენებულა. ზოდში რომ ვსწავლობდი, მახსოვს, სოფელში სკოლის შესამოწმებლად ჩამოსული იყო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი. შემოუშვეს ჩვენს კლასში. რასაკვირველია, სანიმუშოდ მე გამომიძახეს. მე ავხსენი. 30 წლის შემდეგ მაშინდელმა მოწაფემ მითხრა, ისე მოსწონებია შენი გამოსვლა, სამინისტროს წარმომადგენელი სამასწავლებლოში რომ ასულა, უთქვამს, კი მაგრამ, თქვენ აქ კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტი გყავთო? შემდეგ ვილაცამ მირჩია იურიდიულზე ჩაბარება და ისტორიულზე აღარ ჩავაბარე. 2006 წლამდე ვმუშაობდი თსუ-ში. ძალიან მკაცრად გამოვდიოდი პრესაში და 2006 წლიდან იქ აღარ დაუძახიათ. 2013 წლის მარტში კვლავ მიმიწვიეს. ამ ინსტიტუტში 1963 წელს დავიწყე მუშაობა. 1973 წელს შემომთავაზეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა, მაგრამ მე უარი განვაცხადე.

***— მოსამართლეობაზე უარი რატომ განაცხადეთ? იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახი რეპრესირებული იყო?***

— არა. მათ ვუთხარი, მე რომ პარტიული არ ვარ-მეთქი? არა უშავსო, მაგრამ მაინც უარი ვთქვი, რადგან თავისუფლებისმოყვარე კაცი ვარ და მაინც მომიხდებოდა იქიდან წამოსვლა. შემდეგ უზენაეს სასამართლოში 1999 წელს ლადო ჭანტურიამ შემომთავაზა მოადგილეობა. მაინც უარი ვთქვი. 1976 წელს მაშინდელმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აკაკი კარანაძემ მიმიწვია. მას უნდოდა პატიოსანი კადრის მოზიდვა. რადგან მოსამართლეობას არ დავთანხმდი, მეცნიერ-კონსულტანტად დამნიშნეს. ჩემთან მოდიოდნენ მოსამართლეები და რჩევას ვაძლევდი. მთელმა საქართველომ იცოდა, რომ მე ვიყავი მეცნიერ-კონსულტანტი. ერთ საინტერესო ფაქტს მოგიყვებით. დილაა, ლექციაზე უნდა წავიდე და მესტიიდან რეკავს მოსამართლე ბუთულ მჭედლური, კონსულტაცია მინდაო. მეჩქარება, ფაბულა მოყევი-მეთქი. ძროხების ფერმაა. ქალები წველიან ძროხებს და ამოჰყავთ ყველი. ყველს ისეთი თვისება აქვს, კარგად რომ გაწურავ, დიდი ყველი ერთ მუჭში შეიძლება დაიჭირო, მაგრამ, თუ ერთ წვეთ წყალს დაასხამ, დიდად იშლება. ქალმა ყველი კარგად რომ მოწურა ხელში, ამ დროს შევიდა მწყემსი, ეუბნება, ამას თუ გადაყლაპავო. კაცმა გადაყლაპა და დაიხრჩო. ნერწყვი რომ მოხვდა, ყველი გაიშალა, კაცმა ვეღარ ისუნთქა და დაიხრჩო. ეს რა არისო? მე ვუთხარი, გაუფრთხილებლობით მკვლელობაა, მაგრამ საქმე ჩამოიტანე თბილისში-მეთქი. საბჭოთა პერიოდში საქართველოს უზენაეს სასამართლოში იყო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. მთელი მეცნიერული ძალები იქ იყო მიწვეული. მათ შორის, გამოჩენილი მეცნიერი თინათინ წერეთელიც. მჭედლურს ჩამოვატანინე საქმე, გავიტანე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელმაც დაადასტურა ჩემი შეფასება.

***— ახლა არ არის საჭირო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო?***

— ახლა რასაც მიშა ეტყოდა, იმას აკეთებდნენ. მიშა იყო მთავარი კონსულტანტი.

***— მგონი, ახლაც მიშა აძლევს კონსულტაციებს.***

— დიახ, სასამართლო ჯერ კიდევ მისია. გამარჯვებული სახელმწიფო არ აწყობს ნიურნბერგის პროცესს. ნიურნბერგის პროცესი იმიტომ მოეწყო, რომ ომში დამარცხდა გერმანია. გარდა ამისა, გერმანიისაგან დაზარალებული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა და ნიურნბერგის პროცესი ხომ არ გაიმართებოდა. ამიტომ ხრუშჩოვმა გამართა თავისებური ნიურნბერგის პროცესი. ხრუშჩოვს საქართველოში ვერ იტანდნენ, რადგან სტალინის მოწინააღმდეგე იყო, რომელმაც ლაპარაკის გამო, მთელი ინტელიგენცია დაიჭირა და დახვრიტა. ამიტომ ჩვენ სტალინს კი არა, ხრუშჩოვს უნდა ვაქებდეთ, მაგრამ საქართველოში ამას ვერავის გააგებინებ. ამ პროცესის შემდეგ ბუნებრივად დაიწყო სამართლებრივი რეფორმა.

***— კარანაძე უზენაესი სასამართლოს როგორი თავმჯდომარე იყო?***

— კარანაძეზე ვერ ვიტყვი, რომ ის იყო იდეალი, მასზე ზემოქმედება არ ხდებოდა და შეცდომებს არ უშვებდა, მაგრამ კარანაძემ, როდესაც მას ებრძოდნენ და ვეუბნებოდი, გამიშვი აქედან-მეთქი, არ გამიშვა. როგორ უნდა შევადარო ის დღევანდელ თავმჯდომარეს, როდესაც დღეს იქაურობასაც კი არ გვაკარებენ.

***— თქვენ მითხარით, უზენაეს სასამართლოში შესვლა გვენატრებაო.***

— დიახ. ამას წინათ აქ (სამართლის ინსტიტუტში) უზენაესი სასამართლოს რამდენიმე თანამშრომელი მოვიდა. მე მათ გასაგონად ჩვენს თანამშრომლებს ვუთხარი, უზენაესი სასამართლო რომელ ქუჩაზეა-მეთქი. დღეს უზენაეს სასამართლოს შენობაში არ გვიშვებენ.

***— თქვენ დროს უზენაეს სასამართლოს არ ჰყავდა დაცვა? შესასვლელში პოლიციელები არ იდგნენ?***

— არა, ბატონო. მაშინაც ჰყავდა დაცვა, მაგრამ შემსვლელს არ აკონტროლებდა. უნივერსიტეტი 1963 წელს დავამთავრე. უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობას ჯერ არ ვიცნობდი. წარმოიდგინეთ, საბჭოთა პერიოდია. ერთხელ იქ სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია გაიმართა, სადაც მე მოხსენებით გამოვედი. ეს საკმარისი იყო, რომ მათთან შევსულიყავი როცა მომინდებოდა შესვლა. დღეს ყველა მიცნობს, 80 წელს გადავცილდი და უზენაეს სასამართლოში არ მიშვებენ. ერთხელ, გამსახურდიას დროს, იქ გავიარე და უზენაესი სასამართლოს შენობის კარები იყო აჭედილი. რაღაც შეტევა იყო სასამართლოზე. ხალხი იდგა და იცავდა, არავის გაეხსნა კარი. როგორ შეიძლება, უზენაესი სასამართლოს შენობაში ვერ შედიოდე.

***— კარანაძის დროს თქვენს რჩევას ითვალისწინებდნენ?***

— რა თქმა უნდა. კარანაძე იყო დამოუკიდებელი მოსამართლე, მაგრამ თვით სასამართლო არ იყო მთლიანად დამოუკიდებელი. ზევიდან ხდებოდა ზეგავლენა.

***— ახლაც ხდება ზეგავლენა სააკაშვილის მხრიდან.***

— ახლა ზეგავლენა ხდება კი არა, მოსამართლე სააკაშვილია. მოსამართლე 9 წლის განმავლობაში სააკაშვილი იყო.

***— სააკაშვილი იწყალებს თავის თანამებრძოლებს. ისეთებსაც, რომელთა სასამართლო პროცესი ახლაც მიმდინარეობს. თქვენ როგორ აფასებთ მის ამგვარ გადაწყვეტილებებს?***

— სააკაშვილი თავის ხალხს იწყალებს. ამით თავის ხალხს ეუბნება, მე თქვენ გვერდით ვარ და ისევ დამიდექით გვერდითო.

***— კარანაძის დროს რა საქმეებზე იყო ზეწოლა?***

— ბევრი საქმე იყო. ზეწოლა იყო, მაგალითად, კობახიძის საქმეზე (ალმასკომის თავმჯდომარე იყო), რომელიც დახვრიტეს.

***— თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე?***

— ამაზე მე მაქვს ჩემი აზრი — არ შეიძლე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გელა ნიკოლაიშვილი: „ხელისუფლებამ ხალხს იმედი გაუცრუა“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ხვალ პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართება. ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. როგორია თქვენი მოლოდინი?***

— მოლოდინი ნამდვილად არის, ვნახოთ, რა იქნება რეალობა და შეფასებები ამის შემდეგ გავაკეთოთ. თუ რა იქნება მომავალში, ამის ტენდენციები დეკემბრიდან უკვე გამოიკვეთება. შეფასებებს, ალბათ, რამდენიმე თვე კიდევ დასჭირდება.

***— რამდენად იმედიანად ხართ განწყობილი?***

— იმას, რასაც განწყობა ჰქვია, მე დავარქმევდი ფრთხილ ოპტიმიზმს. გააჩნია, რას შევადარებთ წინა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, იმასთან შედარებით მეტი მოლოდინია, მეტი იმედებია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ნაბიჯებს, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ ბოლო ერთ წელიწადში გადადგა და ეს ნაბიჯები ბევრ კითხვას აჩენს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ოპტიმიზმის ეს სიფრთხილე სწორედ ამით გამოიხატება.

***— რა ნაბიჯები გქონდათ მხედველობაში?***

— მე მხედველობაში მაქვს თუნდაც ბოლო პერიოდში გადადგმული, თუნდაც იმ მოლოდინის გაცრუება, რასაც ჰქვია მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა. ერთი წელია, ხალხი ელოდება ამ კომისიის შექმნას და უცებ ჩვენ ვიგებთ, რომ ასეთი კომისია არ შეიქმნება, ვინაიდან მთავრობის სხდომაზე, ეს პროექტი, რომელიც შეადგინა იუსტიციის სამინისტრომ, გაგზავნა ვენეციის კომისიაში, მიიღო რჩევები ვენეციის კომისიიდან, გაითვალისწინა ბევრი მათგანი, გაიტანა მთავრობის სხდომაზე, როგორც ამას კანონი მოითხოვს, რომ ვიდრე პარლამენტის სხდომამდე მივა განსახილველად, მას მთავრობის ვიზა უნდა ჰქონდეს. მთავრობის სხდომაზე კი, როგორც ინფორმაცია გამოვიდა, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ჩავარდა ეს კანონპროექტი ანუ უარი ეთქვა მას ვიზირებაზე, რომ გასულიყო პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონად ქცევისათვის.

***— რა მიზეზით ეთქვა უარი?***

— ამ კანონს ათასობით ადამიანი ელოდა. ოფიციალურად არც გამოცხადებულა ეს, ჩვენ სრულიად შემთხვევით გავიგეთ მოარული ხმებით და შემდეგ დაადასტურეს ეს მთავრობის წევრებმაც და პარლამენტის წევრებმაც. მიზეზი, როგორც გავიგეთ, ღარიბაშვილს უთქვამს, ახლა ამის დრო არ არისო ანუ ახლა არ არის სამართლიანობის აღდგენის დრო. აი, დაახლოებით ასეთია მათი პასუხი, ვინაიდან სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი მექანიზმი იყო სწორედ ეს კომისია. უკანონო, უსამართლო განაჩენების გადასინჯვა სხვა ვერანაირად ვერ მოხერხდება, არ არსებობს სხვა მექანიზმი და ბერკეტი. პროკურატურაში როდესაც შეჰქონდათ განცხადებები პატიმრებს და მათ ადვოკატებს, ისინი სტანდარტულად პასუხობდნენ — მოიცადე და ამ კომისიას რომ შევქმნით, მერე მას ექნება საშუალება, გადასინჯოს, ჩვენ სხვა ბერკეტი არ გაგვაჩნიაო. მართლაც ერთი წელი ამის მოლოდინში იყვნენ უკანონოდ და უსამართლოდ მსჯავრდებულები. კიდევ სხვა არაერთი მომენტია, რომელიც სიფრთხილის საფუძველს გვაძლევს. იგივე, როდესაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ფაქტიურად შეფერხებები შეჰქმნოდათ მოქალაქეებს ქვეყნიდან გასვლაზე, რომ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე საზღვრიდან შეიძლებოდა მოებრუნებინათ მოქალაქე და ეთქვათ, შენ არ გიშვებთ უცხოეთშიო. მადლობა ღმერთს, ეს კანონპროექტი ჩავარდა, მაგრამ განზრახულობა აშკარა იყო ამ მთავრობის, რომ რაღაცა შეზღუდვები დაეწესებინა. იგივე როდესაც იპოთეკარებზე კანონპროექტს ილებდნენ, ეს კანონპროექტიც ჩავარდა, უფრო ზუსტად, პირველი მოსმენით მიიღეს და შემდეგ ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნული ინიციატივით შეაჩერეს მისი განხილვა. ამის გამო მრავალი იპოთეკარის



ბედი ჰაერში გამოკიდებული დარჩა და ამ ხალხს ქუჩაში დარჩენის საფრთხე რეალურად შეექმნა. ბევრი მათგანი ქუჩაში დარჩა კიდევაც, რომ აღარაფერი ვთქვა პოლიციელების მოქმედებებზე.

***— პოლიციელების მოქმედებაში რას გულისხმობთ?***

— არაერთი ინციდენტი მოხდა პოლიციელებსა და რიგით მოქალაქეებს შორის და ყოველთვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ისე, რომ საქმეში არც გარკვეულა, მუნდირის ღირსების დაცვა არჩია სამართლიანობას და ყველგან გამოიყვანა, რომ მოქალაქე არის დამნაშავე და პოლიციელი არ ტყუის. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვქონდა ადამიანების ცემის ფაქტები პოლიციელების მხრიდან, დაზიანებების, ექსპერტიზის ცნობებიც იყო მიტანილი, მაგრამ ყველა შემთხვევაში იყო ერთი და იგივე პასუხი, რომ მათ პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და იმიტომ მოხდა თავის გაჩეხა, ტუჩის გახეთქა, ტრავმების მიყენება და ასე შემდეგ. ყველა შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ის საქმეები, რაც გასაჯაროვდა, დაიჭირა პოლიციელის პოზიცია. რაც არ გასაჯაროებულა ის კიდევ რამდენია. სწორედ ამის შედეგია ის, რაც ამ რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში მოხდა.

***— სწორედ ზუგდიდის შემთხვევაზე მინდოდა მეკითხა. რა მოხდა რეალურად?***

— როდესაც აღარ არის ნდობა იმისა, რომ პოლიციის ხელმძღვანელობა დამნაშავე პოლიციელს დასჯის, ამ დროს ხალხი გადადის ლინჩის წესით გასამართლებაზე. თუ ის მიზეზები მართალია, რაც ითქვა და თუ მართლაც ასეთი ამორალური საქციელი ჩაიდინა პოლიციელმა, რომელი ოჯახის მეჯვარეც იყო, დღეს კი ის კაცია ბრალდებული, ვინც მას სცემა, ყური მოაჭრა თუ ტანსაცმელი გახადა და ქუჩაში დააგდო. ნორმალურ ქვეყანაში, კი ბატონო, უნდა გამოეძახებინათ პოლიცია, პროკურატურა და ამ პოლიციელის წინააღმდეგ აღეძრათ საქმე, მაგრამ, როდესაც არ არის განცდა იმისა, რომ პოლიციელს დასჯიან, უკვე ადამიანები გადადიან სამართლის თვითონ აღსრულებაზე. რა თქმა უნდა, ესეც არ არის მოსაწონი საქციელი, მაგრამ, როდესაც გარემო არ არის იმისა, განცდა არ არის, რომ სამართლიანობას სახელმწიფო აღადგენს და სახელმწიფო დაადგენს, მაშინ მოქალაქეები იძულებულნი ხდებიან, თვითონ დაიწყონ სამართლის დადგენა.

***— რამდენად ხშირი იქნება მსგავსი შემთხვევები, როდესაც საუბარია იმის თაობაზე, რომ საზოგადოებამ თვითონ უნდა აღადგინოს სამართლიანობა...***

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან საშიში და არასასურველი ტენდენციაა, მაშინ სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ ფუნქციონირებენ, ასეთ შემთხვევაში ასე გამოდის. მაშინ რაღას ვერჩოდით „მოქალაქეთა კავშირი“ იყო თუ „ნაციონალური მოძრაობა“? როდესაც სადისტური სისტემა იყო დამყარებული, რომ სახელმწიფო ყოველთვის მართალია, მოქალაქე ყოველთვის მტყუანია. მე არ მინდა, შევადარო ძველ ხელისუფლებებს, ამას ისეთი სისტემური ხასიათი არა აქვს, როგორც მაშინ ჰქონდა, მაგრამ ცალკეული რეციდივები როდესაც არსებობს და ხმაურდება, რა თქმა უნდა, მოსახლეობაში ეს გულისწყრომას იწვევს, იმედგაცრუებას იწვევს და ის 54 თუ 55%, რომელიც არ მივიდა არჩევნებზე, ამის ნათელი გამოხატულებაა. რა თქმა უნდა, ისინი შორს იყვნენ იმ აზრისგან, რომ ძლივს ჩამოცილებული ნაციონალური მოძრაობისთვის მიეცათ ხმა, მაგრამ, მეორე მხრივ, უკვე იმედგაცრუება ჰქონდათ განცდილი ახალი ხელისუფლების მხრიდან და სხვა ძალასაც ვერ ხედავდნენ, რომელსაც ენდობოდნენ და რომლის იმედიც ექნებოდათ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ საზოგადოება იმედგაცრუებულია?***

— ნაწილობრივ ასეა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, საბოლოო ჯამში, ის მესამე ძალა გაძლიერდება, რომელიც ნინო ბურჯანაძის თუ სხვა პოლიტიკური პარტიის ბაზაზე შეიქმნება. ყოველ შემთხვევაში, ეს ადგილი ცარიელი არ დარჩება და თუ ახალმა ხელისუფლებამაც ვერ გაამართლა ხალხის იმედები, ბუნებრივია, სხვაგან დაიწყებენ იმედის ძებნას. ამას მე გულშემატკივრული პოზიციიდან ვლაპარაკობ ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების მიმართ. მინდა, რომ მათ გაამართლონ ხალხის იმედები და არ ჰქონდეთ ნაციონალებს რეანიმაციის საშუალება. თუმცა მე არ მგონია, რომ მათ ამის პერსპექტივა აქვთ, მაგრამ ყოველი მარცხი ახალი ხელისუფლების თავისთავად აჩენს ამ საფრთხეს. ყოველ შემთხვევაში, ილუზიას მაინც უქმნის იმ ხელისუფლებას, რომელიც არ გასამართლებულა და რომლის სისტემური დანაშაულების ჩვენება ვერ შეძლო ახალმა ხელისუფლებამ მსოფლიოსთვის და ვერც საკუთარი საზოგადოებისთვის. ვხედავთ, როგორი ტემპით ხდება გამამართლებელი განაჩენების დადგენა ისეთი ოდიოზური ფიგურებისთვის, როგორიც ბაჩო ახალაიაა და ხვალ და ზეგ, ალბათ, ვანო მერაბიშვილი იქნება. ნიკა გვარამია იქნება თუ ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური, რომელიც მასთან ერთად გაამართლეს, თუ სხვები. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მუშაობს ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლების არც პარტიის წევრი ვარ და არც მონაწილე მათი მოქმედებების, ვარ მათი გულშემატკივარი. მე, პირადად და ჩემმა ორგანიზაციამ, მთელი სისხლი და ოფლი ჩავაქციეთ ამ ათი წლის განმავლობაში, რომ ნაციონალები წასულიყვნენ და მოსულიყო ნორმალური ხელისუფლება. მე მივიჩნევდი და დღესაც ჯერჯერობით მივიჩნევ, რომ ეს ხელისუფლებაა სწორედ ნორმალური. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი, როცა ჩვენ ნაციონალებს ვებრძოდით, მათ იცავდნენ მედგრად და მერე დაინახეს, რომ თურმე დემოკრატიულ ღირებულებებს ისინი არ ემსახურებიან. ჯანდაბას, გადმოვიდნენ რეალურ პოზიციებზე, მაგრამ ახლა კეთილი ინებონ და ის ღირებულებები დაიცვან, რომლისთვისაც ჩვენ და მთელი საზოგადოება თავგადაკლული იბრძოდა და, როგორც იქნა, მივაღწიეთ იმას, რომ ეს ჭირი მოვიცილეთ ნაციონალების სახით. ეს ვალდებულებაა ახალი ხელისუფლების, რომ პატივი სცენ საზოგადოებას მთელ ამ ღირებულებებს. ასევე ჩვენი ვალდებულებაა, რომ კონკრეტული დანაშაული იქნება თუ გზიდან გადახვევა, რომ ისინი დროულად ვამხილოთ და დროულად მივუთითოთ, რომ ეს გზა ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს.

***— თითქმის ყოველდღიური შეხება გაქვთ სასამართლოსთან და მინდა, რომ იქ მიმდინარე პროცესებზეც გკითხოთ, რა ხდება დღეს სასამართლოებში? ვხედავთ, როგორ ამართლებენ და ათავისუფლებენ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს...***

— აქ ისევ და ისევ პროკურატურაა დამნაშავე იმაში, რომ მან ვერ წარადგინა მტკიცებულებები, ისეთი, რომელიც დამაჯერებელი იქნებოდა და გონივრულად დაასაბუთებდა ამ პიროვნებების დანაშაულს, ან სასამართლოა მიკერძოებული. თუმცა მე ამ ჩემი ბოლოდროინდელი პრაქტიკიდან გამომდინარე ვერ ვიტყვი, რომ სასამართლო მაინცდამაინც მიკერძოებულია. სასამართლო თანდათანობით დგება ობიექტური გადაწყვეტილებების რეჟიმში და მე ყველა ასეთ შემთხვევაში მაქვს იმის განცდა, რომ არათუ სასამართლოა მიკერძოებული, არამედ პროკურატურამ წარუდგინა სუსტი მტკიცებულებები და სასამართლომ გამოიტანა ობიექტური გადაწყვეტილებები. ადრე, სასამართლოს როდესაც გამოჰქონდა ის სადისტური გადაწყვეტილებები, მაშინაც გამოჰქონდა იმიტომ, რომ პროკურატურა წარუდგენდა უტყუარ მტკიცებულებებს და პროკურატურისთვის უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება სულ არ იყო ძნელი, ძალიან მარტივი იყო, რადგან ის იყო მძევლად აყვანილი ხალხის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენებები საკუთარი თავის და სხვის წინააღმდეგ. როდესაც ასეთ სადისტურ რეჟიმში ამყოფებდნენ, ისინი გამოსძალავდნენ ამ ჩვენებებს და მოსამართლეს ძალიან ეადვილებოდა მერე ამ ჩვენებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. უბრალოდ, ჩვენს პროკურატურას არა აქვს იმისი არც კომპეტენცია და არც ძალა და საშუალება, რომ რეალური მტკიცებულებები წარუდგინოს იმ პირობებში, როდესაც ამ არაადამიანურ რეჟიმს მოეღო ბოლო ციხეებში და აღარ ხდება ფეხებით ჩამოკიდება და ცოცხების და ხელკეტების გამოყენება ჩვენებების გამოსაძალად. პროკურატურას კი იმდენი კომპეტენცია და გამოცდილება არ ჰყოფნის, რომ ობიექტურად გამოიძიოს და მოიპოვონ უტყუარი მტკიცებულებები.

***— ახალი პროკურორი გვეყოლება ორიოდე დღეში, რისი იმედი გაქვთ, შეიცვლება რამე?***

— მე ძალიან ფრთხილად ვუყურებ, განსაკუთრებით ასეთი ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრების დანიშვნას. ღმერთმა ქნას გაამართლოს. მე იგივე ვთქვი ირაკლი ღარიბაშვილზე, თუმცა მან საქმით დაამტკიცა, რომ, ფაქტობრივად, ასაკის მიუხედავად, მას შეუძლია საქმის კეთება. მაგრამ, როდესაც 28 და 30 წლის ბიჭებს ნიშნავენ, სრულიად გამოუცდელებს, მე არ ვიცი, რა ვთქვა. ღმერთმა ქნას, ესენი აღმოჩნდნენ გამონაკლისები. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა თავისთავად არ არის ისეთი არგუმენტი, რომ ამის გულისთვის არ დანიშნონ ადამიანი, მაგრამ გამოცდილებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მე იმის თქმა შემიძლია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, არჩილ კბილაშვილმა, ბოლო ამ ერთ წელიწადში პროკურატურა გააადამიანურა, იმ სადისტური ორგანიზაციიდან აქცია ადამიანურ ორგანიზაციად. რათაცა სტანდარტები დააწესა, მიუხედავად ყველაფრისა და მისი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ 80-90% ძველი კადრები დატოვა, ნაციონალების კადრები. მე იმედი მაქვს, რომ ეს პროკურატურა შეინარჩუნებს ამ ადამიანურ სახეს. ახალმა პროკურორმა უნდა შეინარჩუნოს პროკურატურის ის სახე, რომელიც არჩილ კბილაშვილმა შექმნა, უნდა მიიყვანოს კვალიფიციური კადრები, რომლებიც ამ წამების მეთოდების გამოყენების გარეშე, მაღალკვალიფიციურად მიაღწევენ იმას, რომ საქმეები გაიხსნება, პროფესიონალურად მოპოვებული იქნება უტყუარი მტკიცებულებები, ისეთები, როგორებიც საშუალებას აღარ მისცემს სასამართლოს, რომ ასე მასობრივად გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენები. ისეთი ეჭვებიც ჩნდება, რომ ამ გამამართლებელი განაჩენების გამოტანით ათეთრებენ ნაციონალურ მოძრაობას და ამკვიდრებენ მას რეალურ, ერთადერთ ოპოზიციად, იმიტომ, რომ ამ განაჩენებს ვერც სასამართლო და ვერც პროკურატურა ხელმეორედ ველარ დაუბრუნდება. გამამართლებელი განაჩენი დადგა, ადამიანი გამართლდა და მორჩა, რაც არ უნდა ახალი გარემოებები წარმოიშვას, იმ ბრალდებით მას ველარ დააპატიმრებენ. ვერც გვარამიას, ვერც ხეთაგურს, ვერც ბაჩო ახალაიას, ვერც მერაბიშვილს და ვერც სხვა ოდიოზურ ფიგურას. ალბათ, ხვალ და ზეგ კეზერაშვილი რომ ჩამოიყვანონ, შეიძლება, ისიც გაამართლონ და გაათეთრონ, ნაციონალურ მოძრაობას სახე შეუნარჩუნონ და დაუმკვიდრონ ვითომდა დამსახურებული ადგილი პოლიტიკურ ცხოვრებაში. არადა, ნაციონალური მოძრაობისნაირ სადისტურ ორგანიზაციას ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

# „საბჭოთა კავშირის დროს სასამართლო უფრო თავისუფალი იყო“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ბა, საქართველოს ცეკას გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი. ეს პირდაპირ კავშირში იყო მოსკოვთან და კგბ-ს უფროს ინაურთან. ჩემი აზრით, ინაური იქნებოდა პირდაპირ კავშირში მოსკოვთან. თვითმფრინავის საქმე იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა კავშირის საზღვარზე გადადის თვითმფრინავი უკონტროლოდ. ეს უკვე მოსკოვის პრობლემა იყო. დღეს გავა ერთი, ხვალ — მეორე და საბჭოთა კავშირი დაიშლებაო.

***— 9 წლის წინ მოსამართლეები თავისუფალი იყვნენ?***

— რასაკვირველია. სასამართლოს მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა სიტუაცია აირია, ჯაბას დროს რა სასამართლო იქნებოდა. ჯაბა შევარდნაძის მეგობარი იყო, მაგრამ შემდეგ დაიჭირა. ეს იყო იმდროინდელი სისხლის სამართლის პოლიტიკა. ბედუკაძის საქმე ხომ იცით. მას ჩადენილი აქვს დანაშაული, მაგრამ შუა საუკუნეების და ახალი ეპოქის სისხლის სამართლის პოლიტიკა განსხვავებულია. პირველად ბავარიის 1813 წლის კოდექსში იმ კოდექსის პროექტის შემმუშავებელმა გამოჩენილმა გერმანელმა იურისტმა შემოიტანა ასეთი ცნება, ნებაყოფლობით თუ ხელს აიღებ დანაშაულზე და გამოძიებას დაეხმარები უფრო დიდ საქმის გახსნაში, შეიძლება, გაპატიონ. საააკაშვილი იმიტომ ყვიროდა ბედუკაძეზე, დაიჭირეთო, რომ, ფაქტობრივად, ბედუკაძემ ამხილა სააკაშვილი.

ეკა ირემაშვილი

# რა პრიორიტეტები აქვს კულტურის სამინისტროს?

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრმა გურამ ოდიშარიამ წლიური ანგარიში წარმოადგინა და ჟურნალისტებთან იმ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა, რომელიც მისმა უწყებამ ერთი წლის განმავლობაში განახორციელა.

მინისტრმა 45 წუთიანი მოხსენების შემდეგ, ჟურნალისტებთან შეხვედრა უკვე კითხვა-პასუხის რეჟიმში განაგრძო, სადაც ყველა ის პრობლემატური საკითხი იქნა განხილული, რომელიც ქართულ კულტურულ სფეროში არსებობს.

ამჟამად კულტურის სამინისტროში შექმნილია ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტი, კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტი, საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტი, ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი.

კულტურის სამინისტროს ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტმა საქართველოს რეგიონებში კულტურული კერების შექმნისა თუ აღდგენის მხრივ, როგორც ქვეყნის რეგიონული განვითარების, ასევე საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში ჩართვისა და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზნით განახორციელა სხვადასხვა ღონისძიებები: 12 სახელოვნებო სკოლაში დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში წეროვანში, მეტეხში, წილკანში, თელიანში, შავშვებში, სკრაში, კარალეთში, მოხისში, ახალსოფელში, გორში, ხაშურში და კოდაში დასაქმდა 72 დევნილი პედაგოგი, უფასოდ ისწავლის 1000-მდე დევნილი ბავშვი. ჩატარდა 50 კონცერტი და მასტერკლასი 21 ქალაქსა და მუნიციპალიტეტში საქართველოს მასშტაბით. 21 ქალაქსა და მუნიციპალიტეტში ჩატარდა სამუსიკო სკოლებისათვის 50 კონცერტი და მასტერკლასი. 14 ქალაქისა და მუნიციპალიტეტის 49 სამუსიკო სკოლას გადაეცა I-II კლასის სახელმძღვანელო. წლის ბოლომდე დაგეგმილია 24 მუნიციპალიტეტში 32 კონცერტისა და მასტერკლასის

ჩატარება. 6 მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას გადაეცა ელექტროპიანინოები და მუსიკალური ლიტერატურა. 30 პიანინო, 32 ვიოლინო, 3 ჩელო, 5 საყვირი, 10 ფლეიტა წლის ბოლომდე 36 მუნიციპალიტეტის 59 სამუსიკო სკოლას გადაეცემა. 20 მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლას გადაეცა სამხატვრო ინვენტარი (ტუმბოები, სადგამები, მოლბერტები და დაფები). 2 სამხატვრო სკოლა წლის ბოლომდე ანიმაციისათვის საჭირო კომპიუტერულ ტექნიკას მიიღებს. 8 მუნიციპალიტეტი ახორციელებს მუსიკალურ გაცვლით პროექტს „ჩემი საქართველო აქარის", დმანისში, ბოლნისში, ყვარელში, სიღნაღში, ხონში, ზესტაფონში, ოზურგეთსა და ლანჩხუთში იმართება მოსწავლეების გაცვლითი კონცერტები. ამოქმედდა 9 კინოკლუბი 9 რეგიონში, ფოთში, ხულოში, მარტვილში, გორში, თელავის სოფელ კისისხევში, მარნეულში, ყვარელში, ლენტეხსა და ბაღდათში კინოთეატრები გაიხსნა. მიმდინარეობს 6 კულტურის ცენტრის აღჭურვა კინო-აპარატურით, ყაზბეგის სოფელ სიონში, კასპში, ახალქალაქში, სენაკში, ლანჩხუთში და დედოფლისწყარში იმართება უფასო კინოჩვენებები მოსწავლეებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. 5 მუნი-

ციპალიტეტში ლაგოდეხში, თიანეთში, ხაშურში, ნინოწმინდაში და წეროვანში

წლის ბოლომდე კიდევ 5 კინოკლუბი გაიხსნება. 8 მუნიციპალიტეტის 8 საესტრადო ანსამბლს გადაეცემა საესტრადო მუსიკალური ინსტრუმენტები. 32 მუნიციპალიტეტის 46 ფოლკლორულ ანსამბლს გადაეცა ხალხური მუსიკალური საკრავები (ფანდური, ჩონგური, დოლი, ჭიბონი, ჭიანური, სალამური, დიპლიპიტო და სხვა). განხორციელდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ექსპედიცია ზემო სვანეთში, რასაც მოყვა „ხალხური ცეკვის ნიმუშების დაფიქსირება — საარქივო მასალების შექმნა". ექსპედიციამ მოიძია და დააფიქსირა ქართული (სვანური) ავთენტური ცეკვები, ჩაიწერა სვანურ ყოფაში ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენილი იშვიათი ცეკვები, ილეთები და საცეკვაო ფრაგმენტები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის ფოლკლორული ანსამბლები მიიღებენ სასცენო ეროვნულ სამოსსა და ხალხურ საკრავებს. მიმდინარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. სამინისტროს მხარდაჭერით ხარაგაულის სახალხო თეატრი გაემგზავრა თურქეთში, სადაც დაიმსახურა გრანპრი თურქეთის საერთაშორისო სამოყვარულო თეატრების ფესტივალზე. ხარაგაულის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა 5 მთიან რაიონში გამართა წარმოდგენები. წლის ბოლომდე თეატრი კიდევ 3 მუნიციპალიტეტს ესტუმრება. რაც შეეხება კულტურის სამინისტროს წარმატებულ პროექტებს, ფესტივალზე „ღამის სერენადები" ლიანა ისაკაძესთან ერთად ექვსი დღის განმავლობაში ფესტივალის ფარგლებში ბათუმს ეწვივნენ ცნობილი ხელოვანები გერმანიიდან, საფრანგეთიდან,

ავსტრიიდან, შვედეთიდან, ფინეთიდან. ჩატარდა სახალხო ფესტივალი „არტ-გენი". სამინისტროს ახალი ინიციატივებიდან აღსანიშნავია ნანი ბრეგვაძის საიუბილეო დისკის გამოცემა, ჯგუფის „ელდრაინი" დისკის გამოცემა, ჯგუფის „შინ" ალბომის პრეზენტაცია და კონცერტი სტუდენტებისთვის. რეფორმების თვალსაზრისით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს რეგიონების სამუსიკო და სახელოვნებო

სასწავლებლებისათვის ახალი სასწავლო პროგრამის შექმნაზე. პროექტი გულისხმობს 2014 წლიდან, ექვსწლიანი მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შვიდწლიან სწავლებაზე გადასვლას. ხორციელდება პროექტის „საქართველოს მარგალიტები", რომელიც მოიცავს მსოფლიოში აღიარებული თითქმის ყველა ქართველი საოპერო მომღერლის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების (საოპერო არიების) გაერთიანებას და ერთ ალბომად გამოცემას.

კულტურის სამინისტროს პრიორიტეტის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ქართული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, რესტავრაცია-რეაბილიტაციას, წარმატებულად თანამშრომლობს საერთაშორისო

ორგანიზაციებთან. 20-მდე მუნიციპალიტეტისა და ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის 26 ძეგლზე (მესტია, ახალციხე, ოზურგეთი, გორი, ახმეტა, ფოთი, წყალტუბო, თბილისი, სამტრედია, ყვარელი, ხაშური, თელავი, დუშეთი, სენაკი, ბოლნისი, თეთრიწყარო, ლენტეხი) მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია. 15 მუნიციპალიტეტისა და ქალაქის (ახმეტა, დუშეთი, ნინოწმინდა, გორი, მესტია, უშგული, დავით გარეჯი, უფლისციხე, ხაშური, ასპინძა, კასპი, წყალტუბო, მცხეთა, თბილისი, გურჯაანი) კულტურული მემკვიდრეობის 29 ძეგლზე მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია. კულტურის სამინისტროს შუამდგომლობის შედეგად, ბრიტანეთის „ქორთოლდის ხელოვნების ინსტიტუტის" კედლის მხატვრობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობითა და თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ფაკულტეტთან თანამშრომლობით, მიმდინარეობს ვარძიის კედლის მხატვრობის კონსერვაციისათვის კვლევითი სამუშაოების მეორე ეტაპი. დართლოს რეაბილიტაციის პროექტი სწორ კალაპოტში ჩადგა მსოფლიო ბანკისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობის შედეგად. ბატონისციხის კომპლექსის ტერიტორიაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების სწორ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავდა ძეგლის კონსერვაციის გეგმა. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თბილისის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის უფლებამოსილება დაუბრუნდა კულტურის სამინისტროს. რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, განხორციელდა 5 ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში. კულტურის მინისტრის მიერ წარმატებით განხორციელებული მოლაპარაკებების შედეგად იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება სარესტავრაციო პრაქტიკაში მიღებული ნორმების დაცვით მიმდინარეობს. შედგა ხუთი ექსპედიცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად. შედეგად: თურქულმა მხარემ იშხნის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის დასრულების ვადა გაახანგრძლივა და სამუშაოები დეკემბრის ნაცვლად 2014 წლის მაისის ჩათვლით გაგრძელდება, რაც ეტაპობრივი და თანმიმდევრული მუშაობის მეტ შესაძლებლობას იძლევა. გაიმართა ქართული მხარის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე

არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით. ხელი მოეწერა

თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ჩვენი ზიარი კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლების დაცვის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს. კვიპროსის რესპუბლიკაში, დაბა ღალიის ტერიტორიაზე მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ქართული მონასტრის არქეოლოგიური სივრცის გადახურვის პროექტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმდა. კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებზე (ინტერნეტ-ტურიზმი, ციფრული მედია) სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ქალაქ ტურინში (იტალია). შეხვედრები შედგა ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ფარგლებში და მიზნად ისახავს სააგენტოს ინსტიტუციურ გაძლიერებას. რაც შეეხება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, ამასთან დაკავშირებით გატარდა დამცავი ღონისძიებები: დედაენას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ჩატარდა კონკურსი „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდ

რეობის შესახებ". დამყარდა აქტიური კონტაქტები თურქეთის, მოლდოვეთის, ყაზახეთის და სხვა სახელმწიფოებში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მომზადდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული შეფასება-ანგარიში და გაიგზავნა იუნესკოს კულტურის სექტორში. მიმდინარეობს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება". მიმდინარეობს მუშაობა იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში ქართული ნომინაციის წარსადგენად „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი". მოეწყო ტურები უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში, გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალსა და ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში. გამოიცა 4 გამოცემა, 2 ჟურნალი და 1 ელექტრონული ჟურნალი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის: გზამკვლევი „კახეთის ღვინის გზა: უჯარმიდან ალავერდამდე", ჟურნალი „ძველი ხელოვნება დღეს", წიგნები „ატენის სიონი", „ოქროს ოთხთავი" და „ახალი იერუსალიმები საქართველოში", წიგნი „ვახტანგ გორგასალი, პოლიტიკური ორიენტაცია და სეპარატიზმი", ჟურნალი „საქართველოს სიძველენი"; ელექტრონული ჟურნალი „ონლაინ არქეოლოგია". მომზადდა და იუნესკოში გადაიგზავნა მცხეთის ისტორიული ძეგლების საკონსერვაციო მდგომარეობის დამატებითი დოკუმენტაცია. გრძელდება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარზე კომპლექსური და მულტიდისციპლინარული კვლევების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს სვეტიცხოვლის ინტეგრირებული კონსერვაციის გეგმის შექმნას იუნესკოს მოთხოვნების მიხედვით. ქართველ ექსპერტთა ჯგუფისათვის ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა და მომზადდა გელათის რენომინაციის აპლიკაცია. 2013 წლის 16-27 ივნისამდე პნომპენში (კამბოჯის სამეფო) გაიმართა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესია, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა სიაში არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ქართული ძეგლების მდგომარეობა იხილებოდა. შედეგად, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება: „ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის (საქართველო) საფრთხეში მყოფ

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში დატოვებისა და ნომინაციის საზღვრების

ცვლილების პროექტის მომზადების შესახებ, მცხეთის ისტორიული ძეგლების (საქართველო) საფრთხეში მყოფ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში დატოვების შესახებ". განხორციელდა სამთავროს დედათა მონასტრის სამრეკლოს რეაბილიტაციის პროექტის თარგმანი იუნესკოს ცენტრისთვის. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციური განვითარებისთვის ევროკავშირმა 1 მილიონი ევრო გამოყო. რაც შეეხება სამუზეუმო საქმიანობას, მიმდინარეობს მუშაობა სტალინის მუზეუმის კონცეფციაზე. მუნიციპალური დაქვემდებარების 6 მუზეუმსა და

კულტურის სამინისტროს დაქვემდებარების 12 მუზეუმს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სსიპ 7 მუზეუმში და მუნიციპალური დაქვემდებარების 11 მუზეუმში ჩატარდა სამუზეუმო ფასეულობათა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები. მუზეუმების პოპულარიზაციისთვის მოეწყო ახალი ექსპოზიცია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. ახალი ექსპოზიციის მოსაწყობად მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა მუნიციპალური დაქვემდებარების მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გამოიცა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გზამკვლევი, ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის გზამკვლევი, რუსთავის ისტორიული მუზეუმის გზამკვლევი, ცაგერის ისტორიული მუზეუმის კატალოგი, ქუთაისის ისტორიული მუზეუმი 100. სსიპ მუზეუმების მიერ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია თელავის ისტორიული მუზეუმის კონცეფციის შემუშავება და თელავის საზოგადოებისთვის

წარდგენა. ებრაელთა ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაციის პროცესის დასაწყისი. 3 საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში. გაიხსნა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მოეწყო 5 ექსპოზიცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში: „ნაპოლეონი და მისი ეპოქა საქართველოში", გამოფენა „დავით კაკაბაძე", „ქართული იარაღ-საჭურველი" (XVII-XX საუკუნეები), ბუნების ისტორიის კოლექციების განახლებული ექსპოზიცია. დმანისში აღმოჩენილი მეხუთე თავის ქალა ჟურნალ „საიენსის" 18 ოქტომბრის გამოცემის გარეკანზე მოხვდა, შედეგად: მოეწყო გამოფენა-პრეზენტაცია. ჟურნალმა გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია „სრული თავის ქალა დმანისიდან და ადრეული ჰომოს ევოლუციური ბიოლოგია".



სამინისტროს პრიორიტეტის მიხედვით, საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტმა ხელი შეუწყო თანამედროვე ხელოვნების

განვითარებას, კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვას საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართული კულტურის პოპულარიზაციასა და საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ჩართვას. აღმოსავლეთ პარტნიორობის მეოთხე პლატფორმის ფარგლებში გაიმართა კულტურის მინისტრთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კულტურის მინისტრებმა. საქართველოში პირველად ჩამოვიდა ევროკომისარი განათლების, კულტურის, მულტილინგვალიზმისა და ახალგაზრდობის საკითხებში ანდრულა ვასილიუ. აღმოსავლეთ პარტნიორობის მეოთხე პლატფორმის კულტურის პირველი მინისტერიალის ფარგლებში მიღებულ იქნა თბილისის დეკლარაცია. ვენეციის 55-ე ბიენალეზე პროექტი „კამიკაძე ლოჯია" განხორციელდა კონკურსის გამოცხადების შედეგად მიღებული საუკეთესო საკურატორო წინადადების საფუძველზე და დამთვალიერებლებისა და პროფესიული წრის დიდი მოწონება დაიმსახურა. წამყვან საერთაშორისო სახელოვნებო პრესაში გამოქვეყნებული 75-მდე მნიშვნელოვანი სტატია საქართველოს პავილიონს ეძღვნება. ვენეციაში საქართველოს პავილიონში მონაწილე ჯგუფი „ბულიონი" მოპატიჟებულ იქნა ვენის თეატრში „ბრუტი" წარმოდგენის გასამართად. მოეწყო დავით კაკაბაძის გამოფენა დიმიტრი შევარდნაძის სახელობის გალერეაში, ეს იყო პირველი ვრცელი, მრავალწახნაგოვანი რეტროსპექტივა, ლისაბონის მუზეუმში დაცული დავით კაკაბაძის აქამდე უცნობი ნამუშევრების ჩვენებით. პროექტის „არქიტექტურული მემკვიდრეობის დაფინანსება" ფარგლებში მოხდა უცხოელი ექსპერტების თბილისში მოწვევა, არსებული კანონმდებლობის, კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და მმართველობის სისტემის ანალიზისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად საგადასახადო თუ ფინანსურ შეღავათებზე. პირველად ქართული პავილიონი ვენის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობაზე მოხვდა. საქართველო აღმოჩნდა საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით პოლონეთთან ერთად. თანამედროვე ქართველი მხატვრები პირველად წარდგნენ ევროპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე. ვენის ბაზრობის ფარგლებში შედგა დისკუსია თანამედროვე ქართულ ხელოვნებაზე, რომელშიც წამყვანი საერთაშორისო სახელოვნებო გამოცემების მთავარი რედაქტორები და ცნობილი კურატორები იღებდნენ მონაწილეობას. თბილისში გაიმართა საერთაშორისო მე-4 ფოტოფესტივალი „თბილისი ფოტოფესტივალ". ფესტივალის ძირითად პარტნიორთან არლის ფოტოფესტივალთან ერთად. ჩატარდა ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი ფესტინოვა „უხილავი დინებები" არტ-ვილა გარიყულაში. ქართული ფოლკლორული ანსამბლები 9 სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრნენ. სახვითი ხელოვნების ხელშეწყობისა და დაფინანსების კუთხით, მოეწყო 3 საერთაშორისო პლენერი, სტუდენტების მონაწილეობა ვორკშოპში, 10 თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი, 3 საერთაშორისო ფოტოგამოფენა, 4 სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა.

საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტმა ჩაატარა 2 ჯაზ-კონცერტი საქართველოში, ითავა თბილისის მე-16 საერთაშორისო ჯაზ ფესტივალის მხარდაჭერა, მოეწყო „თბილფოტოს" ყოველწლიური ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო". რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენა, ევროპელი და ამერიკელი ფოტოგრაფები საგანმანათლებლო შეხვედრებით. განხორციელდა პროექტი „ლევილის შატოს წიგნთსაცავის შესწავლა და კლასიფიცირება". საფრანგეთში სტრასბურგში საშობაო ბაზრობაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იქნა მიწვეული, დაიგეგმა კონსერვატორიის „აქტუალური მუსიკის ფესტივალი", სადაც წარმოდგენილ იქნა თანამედროვე მუსიკა საქართველოსა და შვეიცარიაში. „ღვინის და ხელოვნების ფესტივალზე ლონდონში" შედგა ქართული კულტურისა და ღვინის პოპულარიზაცია, 54 ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი გაემგზავრა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე. საქართველო მეექვსედ წარდგა ევროფესტივალზე, ევროვიზიის 58-ე სიმღერის კონკურსზე შვედეთის ქალაქ მალმოში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წარადგინა სოფო გელოვანისა და ნოდიკო ტატიშვილის დუეტი.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ ღონისძიებებისა, რომელიც კულტურის სამინისტრომ ერთი წლის განმავლობაში განახორციელა. გურამ ოდიშარიას უწყების დანარჩენ საქმიანობას „ახალი თაობა" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

# ალენ აივერსონი: მეც მაქვს გრძნობები

ალენ აივერსონმა კარიერის დასრულება გამოაცხადა. ფაქტია, კალათბურთს კიდევ ერთი ლეგენდა მოაკლდა – ალენი ხომ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის 11-ჯერ მონაწილეა. მსგავსი პატივი თითზე ჩამოსათვლელ კალათბურთელებს თუ რგებიათ.

ცხადია, მისმა წასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

***– ალბათ, უცნაური გრძნობაა – იმყოფებოდეთ სეზონის გახსნით მატჩზე, მაგრამ არ თამაშობდეთ.***

– რა თქმა უნდა და თქვენ უკვე იცოდით ამ კითხვაზე პასუხი.

***– გაიგეთ, რომ ლებრონ ჯეიმსმა საუკეთესოდ დაგასახელათ თქვენს ამპლუაში?***

– დიახ.

***– რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

– ბუნებრივია, მესიამოვნა. მესმის, რამდენად დიადი კალათბურთელია ლებრონი. თან, კარგი ბიჭია. მას არ სჭირდებოდა ამის საჯაროდ გამოცხადება და ჩემთვის რაიმეს დამტკიცება, მაგრამ მან ეს მაინც გააკეთა. მთელ მსოფლიოში გაიგონეს მისი აზრი, რომელსაც ყველა პატივს სცემს. ამის გამოც მიყვარს ის.

***– ამაყობთ იმით, რომ ფიზიკურად არც ისე ძლიერმა კალათბურთელმა ბევრ დიდ და საინტერესო მატჩებში მიიღეთ მონაწილეობა? არის თუ არა ეს თქვენი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი?***

– რა თქმა უნდა. ყველა, ვინც კალათბურთით ცხოვრობს, იცის, რას ნიშნავს ეს. იყო მაიკლ ჯორდანი, შემდეგ მოვიდა ბრაიანტი. კობი ჰგავს მაიკლს და ზუსტად ისევე მოქმედებს. შეიძლება უსასრულოდ ვიკამათოთ – ვინ უფრო ძლიერია: ჯორდანი თუ ბრაიანტი, მაგრამ პასუხამდე მაინც ვერ მივიდეთ. სწორედ ეს არის კალათბურთი.

***– თქვენ უკვე წახვედით დიდი კალათბურთიდან, მაგრამ დღემდე პოპულარულია სახელგანთქმული მომენტი, როცა ფინალური სერიის დროს ტაირონ ლიუს გადააბიჯეთ. დიდი ხანია მას არ შეხვედრიხართ?***

– ჩვენ არასოდეს ვიხსენებთ ამ ეპიზოდს, როცა ერთმანეთს ვხვდებით. საკალათბურთო მოედნიდან რეალურ ცხოვრებაში რომელიმე მოთამაშისადმი სიტყვიერი დაპირისპირება ან ზიზღი არასოდეს გადამიტანია. ლიუ ცდილობდა, ჩემგან აელო მაგალითი, მაგრამ როცა მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ვიდექით, ის გასაქანს არ მაძლევდა.

***– როცა ხალხი მსჯელობს ისტორიაში საუკეთესო მოთამაშეებზე, ვინ მოგდით გონებაში? მხედველობაში მყავს ისინი, ვისაც „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ არ მიუღია მონაწილეობა.***

– ულაპარაკოდ, ჯონ სალმონსი.

***– რა მოგწონთ ამ კალათბურთელში?***

– ყველაფერი. ის ძლიერია ნებისმიერ კომპონენტში. ხომ ხედავთ, რა რთულია ამ ლიგაში თამაში, რამდენად მძიმეა ჩვენი პროფესია. დიადი მოთამაშეებიც კი ყოველთვის არ იმსახურებენ არა თუ შექებას, არამედ ელემენტარულ ყურადღებას. ჯონი დაუჯერებელი იყო საკალათბურთო მოედანზე: ქულებს აგროვებდა, შესანიშნავ პასებს არიგებდა... მოკლედ, ყველაფერი შეეძლო. ახალგაზრდები, შესაძლოა, საერთოდ არ იცნობენ მას, მაგრამ ჩემნაირი ბიჭები, რომლებიც პატივს სცემენ კალათბურთს, მას უყურადღებოდ არ დატოვებენ. ასევე ხდება სტრიტბოლში. უყურებ ზოგიერთ ბიჭს და უნებლიეთ იბადება კითხვა: რატომ არ არის ის დღემდე ნბა-ში? მაგრამ შემდეგ ღირს მათთვის კითხვის დასმა: ბიჭებო, რას აკეთებთ იმისთვის, რომ არ მოხვდეთ ლიგაში?



***– რას ურჩევდით ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომლებიც ნბა-ში გამოდიან?***

– ზუსტად იგივეს, რასაც ნებისმიერ კალათბურთელს. მთავარია ხისტი თამაში, მაგრამ ამას ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. სხვათა შორის, „ფილადელფიას“ გულშემატკივრები არასოდეს ნერვიულობენ იმასთან დაკავშირებით, ითამაშებდა თუ არა აივერსონი კარგად ამა თუ იმ მატჩში, რადგან ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯებოდი. ალენს 20 შეცდომაც რომ დაეშვა ან ვერც ერთი ბურთი ვერ ჩაეგდო, მათ იცოდნენ, რომ ის მოედანზე ყველაფერს დატოვებდა. ეს უნდა გააკეთოს ყველამ და არა მხოლოდ კალათბურთში. როცა გოგონასთან საუბრობ, მაშინაც მთელი სული უნდა ჩადო ამაში. გამოიყენე ყველაფერი საუკეთესო, რაც შეგიძლია, ნუ დაზოგავ საკუთარ თავს. ყოველი შენი ისტორია საუკეთესო უნდა იყოს – თითქოს ის უკანასკნელია შენს ცხოვრებაში. მომდევნო დღეს შეიძლება, უბრალოდ, ვერ გაიღვიძო, ვინ იცის...

***– რა კითხვის მოსმენა გსურთ თქვენი მისამართით?***

– ძალიან მტკივნეულია, როცა ჩემზე ტყუილს ლაპარაკობენ. თუ მოძალადეს, პედოფილს ან რასისტს არ მიწოდებენ, სხვა ყველაფერი ნაკლებად მაღელვებს, მაგრამ ხანდახან მაინც ნაწყენი ვრჩები, თან ძალიან. ვიღაცები ფიქრობენ, რომ მე ბოროტების სიმბოლო ვარ, უგრძნობი პირუტყვი, მაგრამ ასეთი არ ვარ. ვფიქრობ, მათ ესმით ეს და სპეციალურად მანიპულირებენ ამით. მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც ყველა; გამაჩნია გრძნობები და რასაც ჩემზე წერენ, ყველაფერი ტყუილია. ამ ყველაფრის მოსმენა მიჭირს. აი, ასეთ კითხვას დავუსვამდი ჩემს თავს და თავად ვუპასუხებდი. მინდა ყველამ იცოდეს: ალენ აივერსონს აქვს გრძნობები.

***– შეიძლება ეს ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ თქვენ არ პასუხობთ ამ თავდასხმებს? თუ ეს არის პასუხის ერთადერთი მისაღები ფორმა?***

– ხანდახან მინდა პასუხის გაცემა და მათთვის ადგილის მიჩენა, მაგრამ ეს წინდაუხედავი საქციელი იმის მანიშნებელი იქნება, რომ მე ამ ადამიანებს მივეცი ის, რაც მათ უნდოდათ. მათ სწორედ ეს უნდათ და არ შეიძლება მათთვის საბაბის მიცემა. ხანდახან რთულია თავის შეკავება, მაგრამ ჩუმად ვარ, იმიტომ, რომ ჩემს პასუხს მოჰყვება მათი განცხადება, შემდეგ იქნება ჩემი რეაგირება, პასუხი ჩემს რეაქციაზე და ასე დაუსრულებლად. არ მინდა ამ ყველაფერში ჩართვა.

***– როდის ისწავლეთ ამ სისულელეების იგნორირება?***

– არ მისწავლია. უბრალოდ, მყოფნის ძალა, ვუსმინო და გავითვალისწინო იმ ადამიანების რჩევები, რომლებსაც ვუყვარვარ და პატივს მცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ომი უსასრულოდ გაგრძელდებოდა. ასე რომ, ახლა ასეთ აზრზე ვარ: გიყვარვართ? – შესანიშნავია, ასე გააგრძელეთ; არ გიყვარვართ? – გჯეროდეთ იმ სისულელეების, რასაც ჩემზე ამბობენ.

# მიმდინარე სეზონი ვაჟა ტაბატაძისთვის დასრულდა

ვაჟა ტაბატაძე იმ ფეხბურთელთა შორისაა, ვინც ქუთაისური გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენს. 22 წლისას უკვე ბევრჯერ დაუმტკიცებია საფეხბურთო მოედანზე თუ რაოდენ საჭირო მოთამაშეა. ამ ეტაპზე, „ტორპედო“ მის გარეშე ატარებს მატჩებს. საქმე ის არის, რომ მარჯვენა ფეხზე მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ეს მნიშვნელოვანი ქირურგიული პროცედურა რამდენიმე კვირის წინ, სტამბულში ჩატარდა, ახლა იგი სარეაბილიტაციო კურსს გადის, პარალელურად კი, მიუხედავად ყავარჯნებით სიარულისა, შეძლებისდაგვარად, „ტორპედოს“ ვარჯიშებსაც ესწრება და თანაგუნდელებთან სიახლოვეს არ კარგავს.

– როგორ ჩაიარა თურქეთში ჩატარებულმა ოპერაციამ?

– ძალიან კარგად, ვიცოდი, რომ მაღალი დონის სპეციალისტები მემსახურებოდნენ და სანერვიულო ნაკლებად მქონდა. როგორც ოპერაციამდე, ისე მის შემდეგაც, თითქმის, ყოველ წუთს ყურადღების ქვეშ ვიყავი. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის შოთა არველაძის მიმართ, რომელმაც თურქეთში ყოფნისას ყველანაირი დახმარება გამიწია, რაც კი დამჭირდა. იქ ჩასვლისთანავე შოთასთან მივედით, რომელმაც მისი განწვრთნილი „ქასიმფაშას“ მთავარ ექიმს გამასინჯა და მეორე დღეს მანვე წამიყვანა კლინიკაში, სადაც გუნდის ექიმი ყოველდღე მოდიოდა მოსანახულებლად და ვითარების გასაკონტროლებლად, რისთვისაც უღრმესი მადლობა შოთას.

– როგორ მიდის სარეაბილიტაციო კურსი? ვხედავ, ყავარჯნებით დადიხარ, თავიდან ძალიან გაგიჭირდებოდა მათთან „დამეგობრება“.

– რასაკვირველია, სარეაბილიტაციო კურსებით გათვალისწინებულ პროცედურებს ზედმიწევნით ვასრულებ და თანდათან შედეგსაც ვგრძნობ. თვენახევარში კიდევ მომიწევს გასასინჯად თურქეთში ჩასვლა და ალბათ, იმ დროისთვის ყავარჯნებსაც მოვიშორებ, მართალია, მათ ტარებას ძნელად ვეგუები, მაგრამ სხვა რა გზაა...

– ყოველდღიური რეჟიმი როგორი გაქვს?

– ძირითადად ვწევარ, დროგამოშვებით კი, სპეციალურ ვარჯიშებს ვაკეთებ. პირველად ვმკურნალობ ამგვარ ტრავმას და ცოტა არ იყოს, რთულია ჩემთვის ასეთი ცხოვრების წესი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოთმენა მომიწევს. ორ დღეში განსხვავებული ტიპის ვარჯიშები ჩამომივა, რომელთა დანიშნულება უშუალოდ ტრავმირებული მუხლის აღდგენა იქნება.

– როგორც ამბობენ, ერთი სული გაქვს, როდის ითამაშებ ფეხბურთს, თუ მკურნალობა ასევე კარგად გაგრძელდა, სავარაუდოდ, ვარჯიშის დაწყებას რამდენ ხანში შეძლებ?

– როგორც ვიცი, ეს ტრავმა ფეხბურთელებში საკმაოდ ხშირია და მათ მაგალითზე ვამბობ, რომ, ალბათ, მიმდინარე სეზონში ველარ დავეხმარები ჩემს გუნდს. მკურნალობის კარგად განვითარების შემთხვევაში, ღვთის ნებით, ხუთ თვეში დავიწყებ ვარჯიშს.

– ბუნებრივია, ძალიან განიცდი ყოველივეს, როგორ ცდილობ ამ უსიამოვნების შემსუბუქებას? ვისი ან რისი დახმარებით?

– ამას, მარტო ჩემით ვერ მოვახერხებ, მეგობრები და ახლობლები გვერდში მიდგანან, რაც შეუძლიათ და მათზეა დამოკიდებული, ყველანაირად მეხმარებიან ამ მძიმე პერიოდის გადასატანად.

– რამდენად გრძნობ ჩვენი კლუბის ყურადღებას?

– სასიამოვნოა, რომ ყურადღება არ მაკლია და ყოველდღიურად ვგრძნობ კლუბის თანადგომას, თურქეთში „ტორპედოს“ აღმასრულებელ დირექტორ გიორგი პაპიაშვილთან ერთად ვიყავი და როგორც ის, ასევე, კლუბის სხვა ხელმძღვანელებიც დიდად დაინტერესებულნი არიან ჩემი მდგომარეობით. ასევეა გუნდის წევრებიც. ძალიან გამიხარდა, როცა გორის „დილასთან“ მატჩში ჩემი თანაგუნდელები ჩემს მხარდასაჭერ მაისურებში გამოვიდნენ მოედანზე.

– ქუთაისელ გულშემატკივრებში აქტუალურია შენი ტრავმის თემა. ისინი თვლიან, რომ „ტორპედოს“ ძალიან აკლიხარ.

– დიდი მადლობა თითოეულ მათგანს იმ ერთგული დამოკიდებულებისთვის, რასაც ჩემდამი იჩენენ. მთავარია, რომ, როცა გამოვჯანმრთელდები, საქმით გადავუხადო მადლობა.

– თვალს თუ ადევნებ „ტორპედოს“ თამაშებს და როგორ ფიქრობ, რა არის ბოლოდროინდელი ჩავარდნის მიზეზი?

– დიახ, საშინაო თამაშებზე დავდივარ, გასვლით მატჩებს კი ინტერნეტის მეშვეობით ვუყურებ. ვფიქრობ, თბილისის „დინამოსთან“ მარცხმა, რომელმაც ძალიან ცუდად იმოქმედა გუნდზე, სათავე დაუდო დანარჩენ წაგებულ მატჩებს. მას მერე დაღლაც დაეტყო „ტორპედოს“, თუმცა მჯერა, მალევე დასრულდება ეს ჩავარდნა.

# საქართველომ მოგება ვერ შეინარჩუნა

შოტლანდია – საქართველო 1:1
0:1 ჭანტურია (35), 1:1 პატერსონი (84)

შოტლანდია: არჩერი, მაკგი, ფინდლი, რობერტსონი, ჯეკი, მაკგაფი (მაკლინი 57), გაულდი, მაკგრეგორი (პატერსონი 69), არმსტრონგი, მაკლეოდი, მეი

საქართველო: ნადირაძე, კვერკველია, უბილავა, კობახიძე, ჯიღაური, ყაზაიშვილი (კირკიტაძე 67), პარუნაშვილი, ანანიძე, პაპავა, კვეკვესკირი, ჭანტურია (ქვილითაია 85)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შოტლანდიის ნაკრებთან ევროშესარჩევის მორიგ მატჩში ფრედ ითამაშა.

ალექსანდრე ჩივაძის გუნდი, გიორგი ჭანტურიას მიერ 35-ე წუთზე გატანილი გოლით მატჩის 84-ე წუთამდე იგებდა. თუმცა, შოტლანდიელებმა სწორედ ამ დროს შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და დროც აღარ დაგვრჩა იმისთვის, რომ 3 ქულის გადასარჩენად გვებრძოლა.

მომენტების მიხედვით კი, მთელი მატჩი საქართველოს ნაკრები დომინირებდა. გოლის გატანამდე, გიორგი ჭანტურიას ჰქონდა მომენტი, თუმცა, სქოთების მეკარემ გატანა არ დაანება. ანგარიში კი, როგორც ვთქვით, 35-ე წუთზე გაიხსნა, როცა ჯანო ანანიძის მშვენიერი პასის შემდეგ, ჭანტურიამ მეკარე არჩერს მარცხენა კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, ჩვენს გუნდს კვლავ შეექმნა მშვენიერი მომენტი და ისევ ანანიძისა და ჭანტურიას მონაწილეობით, თუმცა, ამ შემთხვევაში მასპინძლები არჩერმა იხსნა.

შოტლანდიელებს კი, ქულა პატერსონმა შეუნარჩუნა, რომელმაც ლამაზ, აკრობატულ ნახტომში აიღო ნადირაძის კარი. ამის შემდეგ, ანანიძემ ორჯერ გაამწვავა სიტუაცია და მატჩიც დასრულდა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში, სლოვაკეთმა ფრედ – 2:2 ითამაშა ჰოლანდიასთან და ეს ორი გუნდი თანაბარი 10-10 ქულით ჯგუფის პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებს. 7 ქულით მესამე ადგილზეა საქართველოს ნაკრები; ხოლო შოტლანდიელებს ასევე 7 ქულა აქვთ და მეოთხე ადგილზე არიან.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შინ უკვე დაბრუნდა და შეკრებას ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ გააგრძელებს. 18 ნოემბერს კი, გორში, „თენგიზ ბურჯანაძის“ სახელობის სტადიონზე სლოვაკეთის ნაკრებს ვუმასპინძლებთ. მატჩი დღის 14:00 საათზე დაიწყება და ეს იქნება ამ წელს ევროშესარჩევის ბოლო მატჩი.

**<u>სატურნირო ცხრილი:</u>**

1.ჰოლანდია 4 3 1 0 13:2 10
2.სლოვაკეთი 5 3 1 1 14:5 10
3.საქართველო 5 2 1 2 6:9 7
4.შოტლანდია 5 2 1 2 7:8 7
5.ლუქსემბურგი 5 0 0 5 1:17 0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ჯაბა კანკავა: ფრანგები ბოლო 10 წუთში უფრო უტევენ

უკრაინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად ფრანგებთან უწევთ საპლეიოფო ორრაუნდიანი ჯახის გადატანა. გეხსომებათ, საფრანგეთი საქართველოს ნაკრებთან ერთად იყო ჯგუფში, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკრაინელი ჟურნალისტები „მამლებზე“ აზრს ჩვენი ნაკრების კაპიტანს, დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ნახევარმცველ ჯაბა კანკავას დაეკითხნენ.

***– რამდენად რთული მატჩები ჰქონდა საქართველოს ნაკრებს საფრანგეთთან?***

– საფრანგეთთან თამაში შესაძლებელია. ეს არაა ესპანეთი, რომელთანაც, ფაქტობრივად, შანსი არ გვქონია. ესპანელებთან მატჩისას ეს თავიდანვე ვიგრძენით – მივხვდით, რომ მათ საწინააღმდეგოდ რაიმეს შექმნა რთული იქნებოდა. ფრანგებთან კი ვგრძნობდით, რომ დადებითი შედეგის მიღწევა შეგვეძლო. ეჭვგარეშეა, რომ ფრანგები ესპანელებს კლასით ჩამოუვარდებიან.

***– ფრანგებმა თქვენთან შინ და სტუმრად განსხვავებულად ითამაშეს?***

– თბილისში სხვა განწყობით ჩამოვიდნენ, რადგან უკვე განაღდებული ჰქონდათ მეორე ადგილი. ვერ ვიტყვი, რომ რამე დააკლეს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, უკრაინასთან კიევში სამმაგი ენერგიით ითამაშებენ. ფრანგების წინააღმდეგ თბილისში კარგად ვიცავდით თავს, ორი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ: ერთხელ მეკარემ გადაარჩინა, ერთხელაც – ძელმა. ბოლო 10 წუთში მოუმატეს ფრანგებმა. პრინციპში, ასე იყო პარიზულ მატჩშიც.

***– „სამფეროვნებიდან“ რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?***

– გუნდის თამაში რიბერის მიჰყავს. რთული იყო ჟირუსა და ბენზემას წინააღმდეგ მოქმედება. ბენზემა ძალიან მაღალი კლასისაა, მაგრამ ჩვენმა მეკარემ არც პარიზში გაატანინა და არც თბილისში. ძლიერი მხარეების გარდა, სუსტზეც უნდა ვთქვა: საფრანგეთის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველები შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ. ჩემი აზრით, რუსლან როტანი ფრანგ თანაამპლუელეს სჯობს.

***– რას ურჩევდით და რას უსურვებდით უკრაინის ნაკრებს საფრანგეთთან?***



– კიდევ ერთხელ ვიტყვი: საფრანგეთთან თამაში შეიძლება. ვფიქრობ, ნახევარდაცვა უკრაინას უფრო ძლიერი ჰყავს, ასე რომ, ლორისის კარში გოლის გატანა რეალურად შესაძლებელია, რასაც ვუსურვებ კიდეც უკრაინის ნაკრებს.

# ნაციონალები გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას არ დაესწრებიან

ნათია ხურცილავა

გიორგი მარგველაშვილი გუშინ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მარგველაშვილს ელჩებმა თავიანთი ქვეყნის ლიდერების მილოცვები გადასცეს. დიპლომატებმა არჩეულ პრეზიდენტთან ორმხრივ ურთიერთობებზეც ისაუბრეს. შეხვედრებზე მარგველაშვილს საგარეო საკითხებში მრჩეველი ვანო მაჭავარიანი ახლდა.

გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან 17 ნოემბრის ინაუგურაციასთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთა. მარგველაშვილის თქმით, ის ფიცის დადების დროს ისაუბრებს როგორც საერთაშორისო თემებზე, ისე საშინაო საკითხებზე, ასევე ყურადღებას გაამახვილებს ქვეყნის იმ მიღწევებზე, რომელიც არჩევნების მერე ქვეყანამ განიცადა.

მისი თქმით, ფიცის დადების ცერემონიალი რუსთავის გამზირზე მდებარე პარლამენტის ეზოში გაიმართება და აღნიშნა, რომ ინაუგურაცია, წინა წლებთან შედარებით, 4-5 ჯერ იაფი დაჯდება.

— გადავწყვიტეთ, რომ თანხა, რომელიც ინაუგურაციაზე უნდა დაიხარჯოს, შეგვემცირებინა, ეს დიდი და პომპეზური ღონისძიება არ იქნება, ამის მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკურად ჯერ კიდევ უჭირს, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. წელში რომ გავიმართებით, პომპეზურ ღონისძიებებზე ამის მერე ვიფიქროთ, — განაცხადა მარგველაშვილმა.

უკვე ცნობილია, რომ 17 ნოემბერს პრეზიდენტის ინაუგურაციას მიხეილ სააკაშვილი არ დაესწრება. მარგველაშვილმა ინაუგურაციაზე სააკაშვილის არდასწრების შესახებ ჟურნალისტებისგან შეიტყო.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი ევროპაში გაემგზავრა და იგი სავარაუდოდ, ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას ვერ დაესწრება.

როგორც ჩანს, მარგველაშვილი სააკაშვილის დასწრებას ელოდებოდა, რადგან მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჟურნალისტის კითხვა — „ახლა მესმის თქვენგან“, — განუცხადა მარგველაშვილმა აღნიშნული კითხვის დასმის შემდეგ ჟურნალისტებს.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაავრცელა განცხადება და ინაუგურაციაზე არდასწრების მიზეზები განმარტა.

ჟურნალისტებს სხვა კითხვებიც ჰქონდათ მარგველაშვილთან. თუმცა, როგორც პრეზიდენტმა განმარტა, არსებობს საკითხები, რომელიც არა მისი, არამედ მთავრობის პრეროგატივაა.

გიორგი მარგველაშვილი გუბერნატორებისა და მინისტრების შერჩევის საკითხში არ ერევა.

როგორც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ საკითხის გადაწყვეტაში პრეროგატივა მთავრობას აქვს და იგი ამაში არ ერევა.

— მინდა, შეგახსენოთ, რომ არსებული კონსტიტუციით პრეზიდენტი პარლამენტთან კონსულტაციით ასახელებს პრემიერ-მინისტრს და არა მინისტრებს ან გუბერნატორებს. თქვენ იცით, რომ პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი დასახელდება. ეს არის ჩემგან გაცხადებული. რაც შეეხება მინისტრებს, გუბერნატორებს, მე ამ საკითხში არ ვერევი, რადგან მიმაჩნია, რომ ასეა სწორი, რათა კონსტიტუცია დავიცვათ, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ასევე გუშინ გახდა ცნობილი, რომ უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მდივნის მიერ თანამდებობის დატოვებას, ახლად არჩეული პრეზიდენტის თქმით, მან ამ პოსტზე ირინე იმერლიშვილი უკვე დაასახელა.

მარგველაშვილი პრეზიდენტის რეზიდენციების სამომავლო ფუნქციონირების საკითხს გამოეხმაურა. ის ამბობს, რომ სხვა სასახლეებმაც ავლაბრის რეზიდენციის ბედი უნდა გაიზიარონ.

არჩეული პრეზიდენტის აზრით, ქვეყნის მასშტაბით არსებული რეზიდენციების ბედი ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ავლაბრის რეზიდენციის ბედი გადაწყდა.

— დეტალურად, თითოეული რეზიდენცია, არც ვიცი, რამდენია, სად მდებარეობენ, მაგრამ, ზუსტად რომ გითხრათ, რომ ეს სასწავლო დაწესებულებები იქნება, ბუნებრივია, ასეთ რამეს ვერ ვამბობ, მაგრამ საქართველოს მთავრობას, მოხელეებს, პოლიტიკოსებს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით იმის შესაძლებლობა არ აქვთ, რომ ფუფუნების ობიექტებში იცხოვრონ და იმუშაონ, — განაცხადა მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილი ვიქტორია ნულანდის განცხადებას გამოეხმაურა.

— მიხარია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ასე დეტალურად ერკვევა იმ გამოწვევებში, რაც საქართველოს გააჩნია, — აცხადებს მარგველაშვილი.

ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდის განცხადებას ეხმიანება, რომელიც ნულანდმა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

— მიხარია, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი — ამერიკის შეერთებული შტატები ასე კარგად, ასე დეტალურად ერკვევა იმ გამოწვევებში, რაც საქართველოს გააჩნია. ბუნებრივია, ეს არის ის გამოწვევები, რაც ჩვენ წინაშე დგას და, ბუნებრივია, რომ ამ მიმართულებით ჩვენი ხელისუფლება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ამ პრობლემების გამოსწორებასა და ამ პრობლემური თემების გადალახვაზე იმუშავებს, — განაცხადა მარგველაშვილმა.

როგორც ცნობილია, ვიქტორია ნულანდმა სიტყვით გამოსვლისას საქართველოში 2012-2013 წლებში ჩატარებულ არჩევნებს სამართლიანი უწოდა, თუმცა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თქმით, საქართველოში გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები მაინც რჩება, მაგალითად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოუგვარებელი პრობლემები, იძულებულ გადაადგილებულ პირთა დაცვა, მყიფე დემოკრატიული ინსტიტუტები, კანონის უზენაესობის გამტკიცების საჭიროება და ეკონომიკა, რომელიც მეტ ყურადღებას მოითხოვს.



უკვე ცნობილია, თუ ვინ დაესწრება გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას. ცერემონიალს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი დაესწრება.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი არტურ რასიზადე დაესწრება.

როგორც გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ ჟურნალისტებს საქართველოში აზერბაიჯანის ელჩმა აზერ თოფიქ ოღლუმ განუცხადა, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი საქართველოში ხვალ ჩამოვა.

— ინაუგურაციის ცერემონიალზე აზერბაიჯანი წარმოდგენილი იქნება პრემიერ-მინისტრის დონეზე. ის ხვალ ჩამოვა და პირადად მიულოცავს გამარჯვებას ქართველ ხალხსა და ახალ პრეზიდენტს. ახალ პრეზიდენტთან ერთად ვისაუბრეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაზე. ეს კავშირები არის კეთილმეზობლური და სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ურთიერთობები უფრო მეტად გაღრმავდება, — აღნიშნა აზერბაიჯანის ელჩმა.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე ელჩის სახით იქნება წარმოდგენილი. ელჩი ორთვინ ჰენიგი დაესწრება ცერემონიალს.

როგორც საქართველოში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ორთვინ ჰენიგმა ახლად არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, გერმანიაში კოალიციათა შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ლიდერები ინაუგურაციაზე ყოფნას ვერ მოახერხებენ.

ასევე გუშინ გახდა ცნობილი, რომ ჰენიგის თქმით, მან გიორგი მარგველაშვილს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მილოცვა გადასცა, რომელშიც საუბარია, რომ საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანი, გამჭვირვალე და ღია იყო.

ამასთან, გერმანიის ელჩმა მოახლოებულ ვილნიუსის სამიტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— საქართველო ევროპისკენ მიიწევს. ვილნიუსის სამიტი იქნება ფორმალური დადასტურება, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, რადგან ის ევროპის ნაწილს ისედაც წარმოადგენს, — განაცხადა ჰენიგმა.

მარგველაშვილის ინაუგურაციას იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრი ტაკაო მაკინო დაესწრება.

როგორც იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტოშიო კაიტანიმ საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, მან გიორგი მარგველაშვილს იაპონიის პრემიერ-მინისტრის მისალოცი წერილი გადასცა.

— ასევე ბატონ მარგველაშვილს აისავას მისალოცი წერილი გადავეცი, რომელიც იაპონიის პარლამენტის იაპონია-საქართველოს სამეგობრო ლიგის თავმჯდომარეა. პრემიერ-მინისტრი მისალოც წერილში წერს, რომ იაპონიასა და საქართველოს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვს და იმედს გამოთქვამს, რომ ეს ურთიერთობები განმტკიცდება, — განაცხადა იაპონიის ელჩმა.

გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას საფრანგეთიდან ერიკ ფურნიე დაესწრება

როგორც საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რენო სალენიმ საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, ინაუგურაციას საქართველოში საფრანგეთის ყოფილი ელჩი, ამჟამად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ერიკ ფურნიე დაესწრება.

ერიკ ფურნიე რენო სალენთან ერთად გუშინ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაზე იმყოფებოდა.

საფრანგეთის ელჩის თქმით, მათ გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცეს და საქართველო-საფრანგეთის ორმხრივ ურთიერთობებზე ისაუბრეს.

გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი ვილნიუსის სამიტის ფარგლებში საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდსა და გიორგი მარგველაშვილს შორის დაგეგმილ შეხვედრასაც შეეხო.

— ვიმედოვნებთ, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები მომავალში უფრო გაღრმავდება და განვითარდება, — განაცხადა რენო სალენიმ.

ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა.

მარგველაშვილის თქმით, საფრანგეთის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანას უჭირდა.

— ჩვენ ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რა ახალი მისია და რა ახალი გზა გააჩნია საქართველოს ევროპასთან მიმართებით, — აღნიშნა მარგველაშვილმა.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები


- სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311 – ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 18 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ყველანი ციხეში"** 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"ბონი და კლაიდი"** (ფ.დანაუეი)

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "მარაკეში" 08.30 მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** (ა.ჩელენტანო) 10.15 მხ/ფ **"ღამეები როდანტაში"** (რ.გირი) 12.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ედინბურგი" 13.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 14.00 **ფეხბურთი** – ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: **საქართველო – სლოვაკეთი** I-II ტაიმი (პ/რ) 16.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 1 სერ. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ფულთან თამაში 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) 23.30 EMERGENCY – სასწრაფო დახმარება 00.45 მხ/ფ **"აზრთა მპყრობელნი"** (ქ.სლეიტერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 18.50, 19.50 სერ. **"ტიტების დრო"** 22.00 ნიჭიერი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 შიშის ფაქტორი 02.00 მხ/ფ 04.00 კურიერი დაიჯესტი

06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.45 მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"ფესვები"** 13.30 ქართული მულტფილმი 13.45 დოკ/ფ "კინო და წლები" I ნაწ. 15.00 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი **"ალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი"** 16.45 კონცერტი - ანს. "ბათუმი" და ანს. "ქართული ხმები" 18.10 აქტუალური თემა 18.30 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"მევლუდი"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 სადვთისმეტყველო საუბრები - მეუფე სპირიდონი 22.25 დოკ/ფ "დღესასწაული" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "შორ ვართ" 00.25 ისტორიის დღიური 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ზაზუნას დღე"**

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15 **სერიალი "რთული გზა"** (გამ) 12.50, 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აზბი" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ.). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

## სამშაბათი 19 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"თაღლითი სამოთხეში"** (პ.ვილაჯო) 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.30 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 23.30 მხ/ფ **"მისის სოფელი"** (დ.კიტონი) 01.30 მხ/ფ **"ტიტანთა შერკინება"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "კატმანდუ" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 1 სერ. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 მისია სტუდენტი 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ახალი ქართული ხმა 00.00 მხ/ფ **"ბიუტიფული"** (მ.ალვარესი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 18.50, 19.50 სერ. **"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 00.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 ეთნოგრაფია 06.25 მხ/ფ **"ზაზუნას დღე"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ეთნოგრაფია 10.55 სადვთისმეტყველო საუბრები - მეუფე სპირიდონი 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ **"მევლუდი"** 13.30 ქართული მულტფილმი 13.40 დოკ/ფ "კინო და წლები" II ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - ანს. "ურმული" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მოკ/ფ **"პეიტარი"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "დატყვევებული გონიერი" 23.30 ჩვენი ფონდი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"საბრალონი"** I ნაწ.

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები"

## ოთხშაბათი 20 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ნავთობის პრინცი"** 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 23.30 მხ/ფ **"ნიკიტა"** 01.30 მხ/ფ **"ჰაროლდი და კუმარი"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"ბრიუგეში ჩარჩენილი"** (რ.ფაინსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"**. 18.50, 19.50 სერ. **"ტიტების დრო"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ **"საბრალონი"** I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ **"პეიტარი"** 13.25 ქართული მულტფილმი 13.35 დოკ/ფ "კინო და წლები" III ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 კონცერტი -ანდრე რიე 16.55 კვირიაკე 18.10 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"საბრალონი"** II ნაწ.

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## ხუთშაბათი 21 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ბანზაი"** 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ **"ყველასათვის ჩემპიონი"** (ჯ.ლენგი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ბრიუსელი" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 01.00 მხ/ფ **"დედის ნებიერა"** (მ.დილონი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 18.50, 19.50 სერ. **"ტიტების დრო"** 22.00 პროფილი (1 სარეკლამო ჭრა) 00.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.15 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ **"საბრალონი"** II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 დოკ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" 11.15 ეთნოგრაფია 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** 13.20 ქართული მულტფილმი 14.00 ქართული კინოს ოსტატები - სანდრო ჟორჟოლიანი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 ეთნოგრაფია 16.10 კონცერტი -ლიანა ისაკაძე (ბათუმი 2011) 18.10 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"დაგვიანებული სასიძო"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 მთავარანგელოზობა 22.35 მოკ/ფ **"შნო"** 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ზღვარზე" გად. V 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ნისლების სანაპირო"**

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.)

## პარასკევი 22 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ **"ბორსალინო და კომპანია"** (ა.დელონი) 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 19.05 "შეხვედრები მცხეთაში" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"გასეირნება ყარაბაღში"** 01.20 მხ/ფ **"ცხოვრება როგორც სახლი"** (კ.კლაინი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 10.05 სერ. **"ცივი გული"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"დაბრუნება"** 17.50, 19.03 სერ. **"უდანაშაულო"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 01.00 მხ/ფ **"უცნაური პერსონა"** (დ.ჰოფმანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 კომედი შოუ. 18.50, 19.50 სერ. **"ტიტების დრო"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად. 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ **"ნისლების სანაპირო"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მთავარანგელოზობა 10.45 მოკ/ფ **"შნო"** 11.00 "ზღვარზე" გად. V 11.25 ისტორიის გაკვეთილი 12.10 მხ/ფ **"დაგვიანებული სასიძო"** 13.15 ქართული მულტფილმი 13.35 ქართული კინოს ოსტატები - გიორგი შავგულიძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - "თბილისური ავტოგრაფი" 17.05 კვირიაკე 18.10 აქტუალური თემა 18.25 კვირიაკეს სიუჟეტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ჩარირამა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ცეკვის არისტოკრატი" 00.25 ისტორიის დღიური 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"**

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

## შაბათი 23 ნოემბერი

08.00 ან/ფ "ტომი და ჯერი და შერლოკ ჰოლმსი" 09.00 "გიორგობა" (პ/ტრ) 13.30 "საბავშვო ევროვიზიის დღიური" 14.00 მხ/ფ **"დაჯავშნას არ საჭიროებს"** (კ.ზეტა-ჯონსი) 16.00, 20.00 "მოამბე" 16.30 რაგბი. ამხანაგური შეხვედრა. **საქართველო–სამოა** (პ/რ დინამო–არენადან) 18.30 "გურმანია" 19.00 "ეტალონი" 21.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ **"დანტონი"** 01.20 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" 03.10 პროგრამის დახურვა: ანონსი ბლოკი "ბოლოl ნეხტlტიხარი "

08.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "გიორგობა" (პ/ტ) 14.00 მხ/ფ **"გაალეთ" პოლიციაა!-2"** 17.00 მხ/ფ **"მაღალი" ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით"** (პ.რიშარი) 18.30 დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე% (რეჟ: ი. ონოფრიშვილი) 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 ქარ. მხ/ფ **"დიდი მწვანე ველი"** 21.20 ქარ. დ/ფ "დედაო ღვთისავ" (რეჟ: მ. ბორაშვილი) 22.10 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 23.00 მხ/ფ **"ცეცხლოვანი კედელი"** (ჰ.ფორდი)

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ **"მეხთამტყორცნელი"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13.00 მისია სტუდენტი 14.30 ახალი ქართული ხმა 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ **"ჰაჩიკო"** (ჯ.ალექსანდერი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.00 ეკი ვოკი. (გ/ჩ) 11.00 იღბლიანი ბორბალი. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 15.30 "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) 18.50 გააცინე და მოიგე. 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.10 დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 06.35 დოკ/ფ "სულიკო" 07.35 მოგზაურობა სამობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.00 გიორგობა (ტრასლაცია) 12.00 კონცერტი "ერისიონი" 13.05 დოკ/ფ "ჰერეთი" 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 ოპერა - **"აბესალომ და ეთერი"** 16.40 დოკ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" 18.05, 21.05 პატრიარქის ქადაგება 18.20 საქართველოს ქალაქები 18.40 წმინდა დიდმოწამე კონსტანტინე ქართველი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.30 დოკ/ფ "წმინდა გიორგი" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ **"ამაღლება"**

მაესტრო 7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

## კვირა 24 ნოემბერი

08.00 საბ/ფ **"სკუბი დუ"** 10.00 "ეტალონი" (გ/ჩვ.) 10.55 საბ ან/სერ. "დაქ დოჯერსი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქართ. მხ/ფ **"გზა მშვიდობისა" ჯაბო!"** 16.30 დ/ფ "ფოტო" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 **ფეხბურთი** საქართველოს ჩემპიონფნბ: **"დინამო"**/თბილისი/ - **"დილა"** /გორი/ (პ/ტრ) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.30 "სპექტაკლის დრო" – სპექტაკლი: **"ჩვენ" ქვემორახელისმოწერნი"** 23.30 მხ/ფ **"საყვარელი"** 01.30 დ/ფ "11 საათი"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ლოს-ანჯელესი" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ **"ფანტოცის დაბრუნება"** 11.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ახალი ზელანდია" 12.00 დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 14.00 მხ/ფ **"მაღალი" ქერა მამაკაცის დაბრუნება"** (პ.რიშარი) 16.00 დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" 17.00 მხ/ფ **"მუსიკა და ლირიკა"** 19.00 დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი-ბერების კვალდაკვალ" 20.00 მხ/ფ **"ვატელი"** (ჟ.დეპარდიე) 22.00 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 23.00 მხ/ფ **"სამართლიანი საქმე"** (შ.კონერი)

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 08.25 მხ/ფ **"ახალი რობინზონები"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ **"ბარიგება"** 17.40, 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 00.00 მხ/ფ **"მხეცის მუცელი"**

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ 10.30 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე. 14.00 ეკი ვოკი. 15.30 ნიჭიერი - გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 სერ. **"ნათია და ნათია"** 21.00 P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.45 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** 12.30 გამოყენებითი ხელოვნება 13.40 ქრისტიანული ხელოვნება 14.25 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.15 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 სადვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.30 მხ/ფ **"შერეკილები"** 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.40 მხ/ფ **"ზოროს ნიღაბი"**

მაესტრო 7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი ტარზანი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30, 0.00 "მონიტორი/ ჟურნალისტური გამოძიება 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

# ვარშავაში რუსეთის საელჩოზე თავდასხმის მონაწილეენი გაასამართლეს

– ვარშავაში რუსეთის საელჩოზე თავდასხმის მონაწილეთა სასამართლო პროცესი შედგა, – იტყობინება „რია-ნოვოსტი“.

რუსეთის საელჩოზე თავდასხმა 11 ნოემბერს, პოლონეთის დამოუკიდებლობის დღეს მოხდა. ამ დროს, ტრადიციულად, ეწყობა მსვლელობები და ექსცესები.

– დამოუკიდებლობის დღეს პოლონელი ნაციონალისტები ქუჩაში გამოდიან. მემარცხენეები ამას ძალზე აგრესიულად ხვდებიან. შედეგად მასობრივი ჩხუბი იმართება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მემარცხენეები საკუთარ თავს ანტიფაშისტებს უწოდებენ. „ნაციზმთან ბრძოლა“ მათი პროფესია გახდა. იარლიყს „ნაცისტი“ ისინი ყველა ოპონენტს მიაკერებენ ხოლმე. ვალში არც ნაციონალისტები რჩებიან. „ურიების აგენტურა“, „ჰომოსექსუალიზმის მეხოტბენი“ – მეტოქეებს ისინი ასეთი ეპითეტებით უმასპინძლდებიან.

– გასაკვირი არაა, რომ ყოველივე მუშტი-კრივით მთავრდება-ხოლმე, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პოლონელი საზოგადოება ამას კარგა ხანია შეეჩვია. 11 ნოემბერსაც, როგორც კრივში საინტერესო შეჯიბრებას, ისე მოელიან. ქუჩები სეირის მოყვარულებით ივსება, იდება სანაძლეოები და ა.შ. როგორც ნაციონალისტები, ისე მათი ოპონენტები საგანგებოდ ქირაობენ ბოევიკებს. უმეტეს შემთხვევაში ესენი არიან ან ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, ან ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო უმუშევარნი დარჩნენ.

– პოლიცია ჩვეულებისამებრ მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა სასწორი რომელიმე მხარეს გადაიხრება, ჩხუბიც ჩამტვრეული კბილებით, ჩალურჯებული თვალებითა და გატეხილი ცხვირით მთავრდება, – იტყობინება „რია ნოვოსტი“.

წლევანდელ 11 ნოემბერს ფრიად რთული ფონი უძღოდა. საქმე ისაა, რომ ოფიციალური ვარშავა უკრაინის ევრო-სტრუქტურებში გაწევრიანების მთავარი ლობისტი გახდა. კრემლში ამას თავდაპირველად შემწყნარებლური ღიმილით უყურებდნენ. აქაოდა უკრაინის ევრო-სტრუქტურებში გაწევრიანება არარეალურიაო. კრემლის გათვლა არ გამართლდა. უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმების რატიფიცირება რეალობა გახდა, რუსეთმაც ვილნიუსის სამიტის ჩასაშლელად აქტიური მუშაობა გააჩაღა,

– ამან პოლონელები აღაშფოთა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.



დღეისათვის ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პოლონური პარტია „უფლება და სამართლიანობა გახლავთ“. მისი ლიდერია პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის კაჩინსკის ძმა. ის და მისი თანამოაზრეები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ. ოპოზიციონერთა აზრით, პოლონეთში რუსი ჯაშუშები ღიად, დაუსჯელად მოქმედებენ და ყველაფერს აკეთებენ, რათა ვილნიუსის სამიტი ჩაიშალონ. განსაკუთრებული აჟიოტაჟი მას შემდეგ ატყდა, რაც ზოგიერთმა პოლონელმა პოლიტიკოსმა უკრაინელები „ეთნოწმენდასა და პოლონელთა გენოციდში“ დაადანაშაულა.

– მავანმა ძალებმა კვლავ წამოატივტივეს ე.წ. „ვოლინის ჟლეტის“ საკითხი, რაც ანტიუკრაინულ პროპაგანდაში გადაიზარდა, – იტყობინებოდა რადიო „თავისუფ;ლება“.

კაჩინსკის აზრით, აღნიშნული პოლიტიკოსები მოსკოვიდან იმართებიან. არსებობს მასალები, რაც ამტკიცებს, რომ მათ რუსებისგან ფული მიიღეს, – განსვენებული პრეზიდენტის ძმამ ეს თავის ტელეინტერვიუში განაცხადა. ხელისუფლებამ ამას ყურადღება არ მიაქცია, თუმცა უკრაინელებისადმი მხარდაჭერა გაგრძელდა. ვითარებაც დაიძაბა. რუსულ მასმედიაში გამოჩნდა მასალები, სადაც ნათქვამი იყო, რომ უკრაინის ხელისუფლებაში პოლონეთის აგენტურა მოქმედებს, რომელიც ოფიციალურ კიევს თურმე რუსეთთან კონფრონტაციისაკენ უბიძგებს.

– იანუკოვიჩი ფაქტიურად თანახმა იყო, რათა ქვეყანა საბაჟო კავშირისათვის შეეერთებინა, ეს პოლონელთა ძალისხმევით ჩაიშალა, – ამტკიცებს მარკოვი.

პოლიტოლოგის აზრით, ტიმოშენკოს გარშემო ატეხილი აჟიოტაჟიც მნიშვნელოვანწილად პოლონელთა მიერაა ინსპირირებული.

– იანუკოვიჩი ცდილობს როგორც რუსეთიდან, ისე დასავლეთიდან მაქსიმალური დივიდენდები მიიღოს, – განაცხადა თავის ტელეინტერვიუში მარკოვმა, – ამაში კი მას პოლონელი მეგობრები ეხმარებიან.

რუსი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ევროკავშირმა უკრაინასთან ურთიერთობის მოწესრიგება პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტ კვასნევსკის დააკისრა. „ამ კაცმა თავისი რუსოფობული მიდრეკლებები ჯერ კიდევ ნარინჯისფერი რევოლუციის დროს წარმოაჩინა“, – განაცხადა მარკოვმა. მისი აზრით, კვასნევსკის პოზიციამ თავის დროზე რევოლუციის გამარჯვება და ხელისუფლებაში ვიქტორ იუშჩენკოს მოსვლა განაპირობა დღეს კვასნევსკი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა უკრაინამ პროდასავ;ლური კურსი შეინარჩუნოს.

– ვიქტორ ფიოდოროვიჩმა იცის, რომ კოქს-კვასნევსკის მისია ბრიუსელში სიტყვას აუცილებლად შეაწევს, ამიტომაც თავხედურად იქცევა და ყველას ნერვებზე თამაშობს, – განაცხადა მარკოვმა.

ყველაფერმა ამან რუსეთში ანტიპოლონური განწყობილებების ზრდას ხელი შეუწყო. „რუსული მარშების“ დროს დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები, სადაც ეწერა: „ფშეკებო, ფრთხილად, თორემ ყელს გამოგჭრით!“ და ა.შ. როგოზინის მიერ პოლონეთის ტელევიზიისათვის მიცემულმა ინტერვიუმ კი ცეცხლზე ნავთი დაასხა:

– რუსეთი რომ არა, დღეს პოლონელი ერი საერთოდ არ იარსებებდა! თუმცა უმადურება თქვენს მენტალიტეტშია, – განაცხადა როგოზინმა.

ამას პოლონეთში მასობრივი აღშფოთება მოჰყვა. მასმედიაში გამოჩნდა მასალები, სადაც „რუსული სიკეთე“ დაწვრილებით იყო აღწერილი. ცარიზმის მიერ ჩადენილი დანაშაული, ბოროტმოქმედებები, რასაც წლების მანძილზე კომუნისტური რეჟიმი ჩადიოდა. ყოველივე დეტალურად იყო ჩამოპუნქტული. ვნებათაღელვაც გაიზარდა. უკმაყოფილებას ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა ამოეხეთქა. 11 ნოემბერიც ასე დადგა.

– დაგეგმილი იყო მშვიდობიანი მსვლელობა. რაკი ხელისუფლება პასიურობს, ვინმეს პროტესტი აუცილებლად უნდა გამოეხატა, – განაცხადა რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა არტურ ზავიშამ.

თავდაპირველად ყველაფერი თითქოს მშვიდობიანად წარიმართა. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ე.წ.-მა „ანტიფაშისტებმა“ აქციის ძალისმიერი მეთოდებით აღკვეთა სცადეს. მემარცხენეთა იერიში მოგერიებულ იქნა, თუმცა აღგზნებული ხალხი აშკარად აგრესიული გახდა. გაისმა მოწოდება: „მათ (მემარცხენეებს) ფულს მოსკოვი უხდის, ისინი რუსეთის საელჩოდან იმართებიან!“ აღშფოთებული ხალხი რუსეთის საელჩოსაკენ გაემართა. აქციის ორგანიზატორები მათ შეკავებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ.

– სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება.“

დემონსტრანტებმა საელჩოს შენობას ქვები დაუშინეს. იქვე მყოფმა პოლიციელებმა ხალხის დაშოშმინება სცადეს, მაგრამ ამაოდ.

– პოლიციელებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, შედეგად რამდენიმე მათგანი ჰოსპიტალში მოხვდა, – იტყობინება რადიო „თავაისუფლება“.

დემონსტრანტების დაშლა მხოლოდ სპეცრაზმის ჩარევის შემდეგ მოხერხდა. აქციის ყველაზე აგრესიული მონაწილენი დააკავეს. ამას საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. უმრავლესობა თვლიდა, რომ მომხდარი ინცინდენტი ოფიციალური კრემლის დღევანდელი პოლიტიკის შედეგია.

– რა თქმა უნდა, დიპლომატიურ მისიაზე თავდასხმა არ შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, თუ ეს რამ გამოიწვია, – განაცხადა არტურ ზავიშამ.

პოლონეთის ხელისუფლებამ რუსეთს მომხდარის გამო ბოდიში მოუხადა. პრემიერმა ტუსკმა აღნიშნა, ხულიგნებს სამაგალითოდ დავსჯითო. საზოგადოებაში ამას აღშფოთება მოჰყვა. უმრავლესობა თვლიდა, რომ მკაცრი განაჩენის გამოტანა უსამართლობა იქნებოდა. ამან განაჩენზე იმოქმედა.

– დაკავებულებიდან ზოგს ჯარიმა დააკისრეს, ზოგსაც ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ვარშავაში რუსეთის საელჩოზე თავდასხმის ფაქტი ევროპის ყველა წამყვანმა გაზეთმა გააშუქა. ყურადღების ცენტრში მოექცა არა იმდენად თავდასხმა, არამედ ის, რომ პოლონეთში ასეთი ძლიერი ანტირუსული განწყობილებებია.

– რუსებსა და პოლონელებს შორის დიდი სიძულვილი დაგროვდა, – თვლიან გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, ექსპერტები, – და ამისი მიზეზი არა მხოლოდ წარსულია.

პუტინის იმპერიულმა პოლიტიკამ ამ სიძულვილის ზრდა განაპირობა. 11 ნოემბერიც ამისი შედეგია.

**ნიკა თევზაძე**

## შსს-ს სპორტული კლუბის MIA FORCE-ის მრბოლელი დათა ქაჯაია დააჯილდოვეს

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპის ერთა ჩემპიონატის ორგზის ჩემპიონი, შსს-ს სპორტულ კლუბ MIA FORCE–ის მრბოლელი დათა ქაჯაია დააჯილდოვა. მინისტრმა ჩემპიონს იარაღი გადასცა და მის სპორტულ მიღწევებზე გაესაუბრა.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, დათა ქაჯაიამ ევროპის ერთა ჩემპიონატის LEGENDS CARS CUP-ის დასკვნითი მეშვიდე ეტაპი წარმატებით დაასრულა და ევროპის ჩემპიონის ტიტული წელს უკვე მეორედ მოიპოვა.

ჩემპიონატის ბოლო ეტაპი 19-20 ოქტომბერს, საფრანგეთის ქალაქ ნოგაროს ავტოდრომზე გაიმართა. ოფიციალური რეგლამენტის მიხედვით ჩემპიონატის ტურები 3 ნაწილად მიმდინარეობს – ორი სპრინტი (20-20-წუთიანი რბოლები) და ერთი 40 წუთიანი ენდურენს რბოლა. მიუხედავად იმისა, რომ დათა ქაჯაია 70 ქულით ლიდერობდა წინა ეტაპებზე მიღწეული წარმატებებით და მას ზედმეტი ძალისხმევის გარეშეც შეეძლო ჩემპიონი გამხდარიყო, მან ბრძოლა ამჯობინა, ორი რბოლა პირველ-პირველ ადგილებზე დაასრულა და ლეგენდის თასის ევროპის ერთა ჩემპიონატის LEGENDS CARS CUP-ის 2013 წლის გამარჯვებული გახდა.

ლეგენდის კლასის ევროპის ერთა ჩემპიონატი წრიულ რბოლაში LEGENDS CARS CUP ყოველწლიურად ტარდება საფრანგეთის და ევროპის სხვადასხვა ცნობილ სარბოლო ტრასებზე 7 ეტაპად. მასში სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე პროფესიონალი მრბოლელი იღებს მონაწილეობას. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული კლუბი I ღჩ -ის მრბოლელების დებიუტი 2012 წელს შედგა ამ კლასის სპორტულ ღონისძიებაში და დათა ქაჯაიამ ევროპის ჩემპიონის ტიტული აიღო.

**ნიუსპრესი**

## ღარიბაშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და სპორტული ორგანიზაცია „სპორტ აკორდი“-ს პრეზიდენტ მარიუს ვიზერს შეხვდა.

მინისტრმა მარიუს ვიზერს ქართული ძიუდოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და სპორტის ამ სახეობაში ქართველი სპორტსმენების წარმატებებზე ისაუბრა.

მარიუს ვიზერი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს,

საქართველოს ძიუდოს ფედერაციასა და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას შორის, რაც თბილისის საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში გრან-პრის სტატუსს მიანიჭებს.

**ნიუსპრესი**

## სამგლოვიარო განცხადებები

მურმან ჩხოტუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ემუხვარების საგვარეულოს ღირსშესანიშნავი წარმომადგენლის, დიდად დაფასებული ექიმ-გინეკოლოგის

**პოლინა ემუხვარის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პეტრე ბერაია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს გია ჭელიძის უახლოესი ნათესავის

**ჯამათა ჭელიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის

**ნინო ცოფურაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: კვირას, 17 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: წულაძის 14.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 3. საშობაო სიმღერა; 4. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 5. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 6. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 8. ქალაქი ბელგიაში, ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი; 10. ბავშვების აღმზრდელი უცხოელი ქალი ძველად; 11. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 16. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. იაპონიის ჰიმნი; 7. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. კვების პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული, ფერადი ლითონების სიფრიფანა ფურცელი; 12. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 17. ნარკოტიკული ნივთიერება; 18. უძველესი ხელნაწერი; 19. ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 20. მექსიკური არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. დოჟი; 2. სქემა; 3. ერატო; 5. ბელუჩი; 6. ლიმონათი; 9. გრავიტაცია; 10. კორსანტია; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. აქციზი; 18. ღრძო.

**თარაზულად**: 1. დუნსტი; 4. იმბეცილი; 7. კეხურა; 8. ტონზურა; 12. ბანკო; 13. უშქარი; 15. ასმათი; 17. ბაი; 19. მანუსკრიპტი; 20. ფაუნა; 21. ჭოროხი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „გეთი“; 2. ლარნი; 3. ერატო; 4. შევრო; 5. კახიძე; 6. დეპოზიტი; 8. აბასთუმანი; 10. „ვინჩესტერი“; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. გულაბი; 16. სამბო.

**თარაზულად**: 1. გოგლიძე; 4. შოკოლადი; 7. თქორი; 9. „ვოლვო“; 12. ვეზირი; 13. ჰალვა; 14. ასკილი; 17. ემისია; 18. კლეპტომანია; 19. ვიმპელი; 20. კოპიჭი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6778 | ევრო — 2,2511 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6789 | 100 რუსული რუბლი — 5,1124 |

## ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისთვის




# აქცია — წიგნი 1 ლარად!

## 19 ნოემბრიდან

## „ახალ თაობასთან“ ერთად



ქართული კულტურის ოქროს ფონდი

1

უნიკალური საარქივო მასალები

კოტე მარჯანიშვილი

კოტე მარჯანიშვილი

ფასი გაზეთთან ერთად 1 ლარი

# ბესიკ ლიპარტელიანი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მოქმედმა პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა, დღეს კალათბურთის ფედერაციის ოფისში განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. დარჩა 4 კანდიდატი – ვლადიმერ ბოისა, კახა შენგელია, მიხეილ ახვლედიანი და მიხეილ გაბრიჩიძე.



**ბესიკ ლიპარტელიანი:**

– 2013 წლის 11 დეკემბრის კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით, მსურს გავაკეთო შემდეგი განცხადება:

2001 წლის ბოლოდან დღევანდელ დღემდე გახლავართ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. არ შევუდგები ამ პერიოდის განმავლობაში ფედერაციის საქმიანობის შეფასებას, რადგან აღნიშნული საქმიანობის მთავარი მსაჯული, პირველ რიგში, საკალათბურთო საზოგადოება და გულშემატკივარია. მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, ვინც ამ პერიოდის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ: ჩემს თანაგუნდელებს, ფედერაციის თანამშრომლებს, მოთამაშეებს, მწვრთნელებს, სამსაჯო კორპუსს, სამედიცინო პერსონალს, ვეტერან კალათბურთელებს, სახელმწიფო მოხელეებს, სპონსორებს, გულშემატკივრებს. მათი შრომა და თანადგომა ქართული კალათბურთის მიმართ იყო უმნიშვნელოვანესი და ძალზე ფასეული ამ რთული წლების განმავლობაში. ვაცხადებ, რომ 2013 წლის 11 დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებ, მაგრამ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უნდა იქნას არჩეული მხოლოდ საკალათბურთო საზოგადოების მიერ. ამ უმთავრესი პრინციპის გამო, მე, როგორც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა და გამგეობის თავმჯდომარემ, ფედერაციის გამგეობის სხვა წევრებთან ერთად ავიღეთ პასუხისმგებლობა, მოვამზადოთ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისთვის თავისუფალი და დემოკრატიული გარემო, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საკალათბურთო საზოგადოების აზრები და ხედვები. სწორედ ამ მიზნით გაიმართა ფართომასშტაბიანი შეხვედრები საკალათბურთო საზოგადოებასთან და მათი აზრები იქნება მაქსიმალურად გათვალისწინებული. ამა წლის 15 ნოემბერს ფედერაციის გამგეობა დაასახელებს პრეზიდენტის არჩევის წესს და დელეგატთა ვინაობას. ჩემი განცხადებით, რომ მე არ ვაპირებ არჩევნებში მონაწილეობას, აბსოლუტურ თავისუფლებას ვანიჭებ ფედერაციის გამგეობას, რათა მათ ობიექტურად შეძლონ ღირსეული დელეგატების ვინაობის დასახელება, რომლებიც იქნებიან ამ ეტაპზე ქართული საკალათბურთო საზოგადოების აზრის ობიექტურად გამომხატველნი.

# ასტროპროგნოზი

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

### 16 ნოემბერი – შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მორიელი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს. **ქალწული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით და მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **სასწორი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის, თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **მშვილდოსანი** – ყველაფერი იცით, მაგრამ საიდუმლო არავის გაანდოთ. **თხის რქა** – ხილი და ბოსტნეული უხვად მიიღეთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

### 17 ნოემბერი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – ახალი პროექტი გაამართლებს. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ. **ქალწული** – მშვენიერი დღეა, ბედნიერებას იპოვით. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ღრიანკალი** – არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ, ყველაფერი გამოგივათ. **თხის რქა** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია მოინდომოთ. **მერწყული** – წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – გზიდან კარგ ამბავს გაიგებთ, საჩუქარიც მოდის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. ყურანის თითოეული თავი; 2. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. წყნარი ოკეანეს კუნძული, სადაც განთავსებულია აშშ-ს სამხედრო, საზღვაო-საჰაერო ბაზა; 5. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 6. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 9. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. მეფე ერეკლე მეორეს კარზე მოღვაწე სომეხი აშუღი; 11. ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენის გამო; 14. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 16. მტაცებელი ფრინველი; 18. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი სული.

**თარაზულად:** 1. მონასტერი ხულოს რაიონში; 4. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 7. კინოფესტივლის სახელწოდება იტალიაში; 8. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა“-ს პერსონაჟი; 12. მოძღვრება მორალისა და ზნეობის შესახებ; 13. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 15. უბანი თბილისში; 17. ხელზე მოსამსახურე ბიჭი სასტუმროში; 19. მიწის სათხრელი მანქანა; 20. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 21. ამერიკელი მულტიფლიკატორი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**



# ირანმა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა შეაჩერა

ირანის ხელისუფლებამ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა დროებით შეაჩერა – აღნიშნულის შესახებ ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ახალ მოხსენებაშია საუბარი, რომლის შინაარსიც „როიტერისათვის“ გახდა ცნობილი.

მოხსენებაში მითითებულია, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ირანის არც ერთ ბირთვულ ობიექტზე არ მომხდარა სამუშაოების ტემპების დაჩქარება. სააგენტოს ინფორმაციით, მაგალითად, ფორდოს ურანის გამამდიდრებელ ობიექტზე ამ პერიოდში ურანის გამამდიდრებელი არც ერთი ცენტრიფუგა არ დაუდგამთ. ნათანზის ობიექტზე კი, ამ პერიოდში მხოლოდ სამი ცენტრიფუგა დააყენეს.

რაც შეეხება არაკს, სადაც მძიმე წყლის კვლევითი რეაქტორი შენდება, აგვისტოდან მოყოლებული მსხვილი კომპონენტები არ დაუყენებიათ. თუმცა, ისრაელი სააგენტოს არც ამ მონაცემებმა დააკმაყოფილა: „ჩემზე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ირანი საკუთარ ბირთვულ პროგრამას არ აფართოებს, შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ვინაიდან მას ეს არ სჭირდება. მას საკმარისი საშუალება, საკმარისი ცენტრიფუგები გააჩნია იმ მასალის საწარმოებლად, რომელიც ატომური ბომბისათვის არის აუცილებელი“, – აღნიშნა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

შეგახსენებთ, რომ ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მორიგი მოლაპარაკება 20 ნოემბერს არის დანიშნული. წინა მოლაპარაკების შემდეგ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ირანთან შეთანხმების მიღწევასთან ძალიან ახლოს იყვნენ. როგორც ცნობილია, მოლაპარაკებების დროს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ირანს ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეწყვეტის სანაცვლოდ სანქციების შემსუბუქებას ჰპირდებიან.

„ბირთვულ იარაღს არ აქვს ადგილი ირანის თავდაცვის დოქტრინაში“

გაეროს ბოლო გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს, ირანის პრეზიდენტმა ჰასან როჰანიმ უარყო ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის განზრახვა და განაცხადა, რომ ირანის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ბირთვული იარაღის ადგილი არ არის.

გენერალური ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ირანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თეირანი არ აპირებს ატომის შექმნას და „მზად არის, ურთიერთნდობის აღსადგენად, დაუყოვნებლივ ჩაერთოს დროში გაწერილ და შედეგზე ორიენტირებულ მოლაპარაკებებში“:

„ირანის ბირთვულ პროგრამას, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ხელთ არსებულ პროგრამებს, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზანი უნდა ჰქონდეს. ბირთვულ იარაღს და მასობრივი განადგურების სხვა იარაღს არ აქვს ადგილი ირანის თავდაცვის დოქტრინაში და იგი ჩვენს რელიგიურ და ეთიკურ მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება“.

როჰანიმ გაეროს ტრიბუნაზე დაგმო ეკონომიკური სანქციები ირანის წინააღმდეგ, რაც, ირანის ლიდერის თქმით, საშინელ ზეგავლენას ახდენს უბრალო ირანელების ცხოვრებაზე. გა-



ეროს უშიშროების საბჭომ ირანის წინააღმდეგ აამოქმედა ოთხეტაპიანი სანქციები, ხოლო აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა კიდევ საკუთარი სანქციები შემოიღეს თეირანის წინააღმდეგ.

აშშ და ირანი, რომელთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა 1979 წლის ირანის ისლამისტური რევოლუციის შემდეგ გაწყვეტილია, წლების განმავლობაში სასტიკ დაპირისპირებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ირანის ბირთვული პროგრამის გამო, რაც, ვაშინგტონის ინფორმაციით, ბირთვული იარაღის შექმნას ემსახურება.

ვინ არის ჰასან როჰანი?

64 წლის სასულიერო პირმა ჰასან როჰანიმ, რომელიც შედარებით ზომიერ პოლიტიკოსად ითვლება, საპრეზიდენტო არჩევნებში ბევრისთვის მოულოდნელად გაიმარჯვა. უცხოეთში მას იცნობენ, როგორც 2003-2005 წლების ბირთვულ მოლაპარაკებებში ირანის დელეგაციის ხელმძღვანელს. თუმცა, მის ბიოგრაფიაში არის ასევე არაერთი წარმატება აკადემიურსა და სამხედრო სფეროებშიც. გარდა ამისა, როჰანი გამოცდილი პარლამენტარიც არის. სხვადასხვა დროს მას მაღალი თანამდებობები ეკავა ირანის მთავრობაში.

ირანის პრეზიდენტის პოსტზე ჰასან როჰანის მოსვლის შემდეგ, მკვლევართა ნაწილი რეფორმების შესაძლებლობასა და ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანის შანსზე ალაპარაკდა. ზოგიერთი მას ირანელ გორბაჩოვადაც მოიხსენიებს. მეორე ნაწილი კი ირანის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს სკეპტიკურად შეხვდა.

სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ როუჰანის მომავალი ოთხი წელი თანამდებობაზე, ირანის პირველი რეფორმისტი პრეზიდენტის, მოჰამედ ხატამის მსგავსად წარიმართება. ხატამი, რომელიც ქვეყანას 1997-2005 წლებში მართავდა, ხელისუფლებაში ცვლილებების დაპირებით მოვიდა, თუმცა უმაღლესი ლიდერის გავლენის შემცირება ვერ შეძლო და რეფორმისტის იმიჯზეც მალევე თქვა უარი.

**გერა მამულაშვილი**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი